ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

12 ივნისიდან!
„ახალი თაობა“
+
დალაი ლამა
8 ლარი



ოთხშაბათი, 19 ივნისი, 2013 | №143 (6144) | ფასი: 30 თეთრი

„მალე დავასახელებ იმ დეპუტატებს, რომლებიც აგვისტოს ომის დროს გაიქცნენ“

გვ. 2

გვ.3

ლერი ხაბელოვი: „სამხრეთი ოსეთი პირველად სააკაშვილმა აღიარა“

გვ.5

დავით უსუფაშვილი: „არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გამოძიების კვალი ყოფილ მაღალჩინოსნებამდე მიგვიყვანს“

პოლიციამ ბანკზე ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა

გვ.2

გვ.6

გიგი უგულავა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გამორიცხავს



გვ.4

შსს-მ და პროკურატურამ უნდა აღკვეთონ პირად და საქმიან ცხოვრებაში ჩარევისა და შანტაჟის მორიგი უპრეცედენტო მცდელობა!

გვ.3

ნუგზარ წიკლაური: „ხელისუფლების სიმბოლო ნანა კაკაბაძე და თენგიზ კიტოვანი გახდნენ“

თურქი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილს 3 მილიონი დოლარის მითვისებაში აღანაშაულებს

— გვ. 4 —

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ჯობია, საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში ბიზნესი არ ჰქონდეთ“

გვ.5

დავით ლილუაშვილი: „ნაციონალებმა მოსამართლეები სრული მორჩილების მიხედვით შეარჩიეს“

გვ.7

თემურ ნანეიშვილი: „ნაციონალები უმაღლეს სასწავლებლებზე კონტროლს კარგავენ“

ISSN 1987-9385

2 რუსეთთან სავიზო რეჟიმი გამარტივდება

6 „ჩხარტიშვილმა პატარკაციშვილის მითვისებული ქონება უკან უნდა დააბრუნოს!“

5 ქრთამის აღების ფაქტზე დმანისის გამგებლის მოადგილე დააკავეს

6 რა სიურპრიზს შესთავაზებს დემოგრაფიის აღორძინების ფონდი საზოგადოებას?

რუსეთთან სავიზო რეჟიმი გამარტივდება

ნათია ხურცილავა

სერგეი ლავროვის უწყება 300 მეტრიანი საოკუპაციო ხაზის გადმოწევის შემდეგ რეგულარულ საჰაერო მიმოსვლის შესახებ მოლაპარაკების მზადყოფნაზე აკეთებს განცხადებას.

სერგეი ლავროვის უწყებას საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი გამოეხმაურა. მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ეს ლოგიკური ნაბიჯი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შემდეგ.

საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გამარტივება 2-3 თვეში რეალურია.

როგორც ფანჯიკიძე ამბობს, ამას ლოგიკურად უნდა მოჰყვეს რეგულარული სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენა.

– საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გამარტივება 2-3 თვეში რეალურია. რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზო მიმოსვლა მოქმედებს. რუსეთის ფედერაციას შემხვედრი ნაბიჯი ამასთან დაკავშირებით არ გადაუდგამს. ვიზების გამარტივებით გარკვეულწილად ეს ვითარება გამოსწორდება და თუკი ეს მოხდა, ლოგიკური გაგრძელება სატრანსპორტო თანამშრომლობის გაღრმავებაა. რუსეთში საქართველოს ბევრი მოქალაქე ცხოვრობს და მათთვის დიდი შეღავათი იქნება პირდაპირი მიმოსვლა, – განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ეს როგორც ქართული, ისე რუსული მხარისთვის სასარგებლო იქნება.

– ჩვენი სატრასპორტო სააგენტო და ტრანსპორტის სამინისტრო მზადაა, ჩვენს ქართველ კოლეგებთან სატრასპორტო საკითხებში, უპირველესად კი, საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოლაპარაკებები აწარმოოს, – ასეთია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიცია.

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე იმყოფება.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ უკრაინა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირებაში თავის წვლილს შეიტანს.

გუშინ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაღალი დონის შეხვედრები გამმართა ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლეონიდ კოჟარასთან გუშინ დახურულ კარს მიღმა შეხვედრა გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. შეხვედრის შემდეგ მინისტრებმა პრესისთვის ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

– ჩვენ საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა. ვისაუბრეთ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ყველა აქტუალურ საკითხზე, ასევე რეგიონულ თანამშრომლობაზე. შევთანხმდით უმაღლესი ვიზიტების ხშირი გაცვლის აუცილებლობაზე. უკრაინა ამავდროულად ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანაა და ამ თავმჯდომარეობის ფარგლებში მან ერთ-ერთ პრიორიტეტად სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების დარეგულირება დაისახა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყანა თავის წვლილს შეიტანს საქართველოსთვის ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებში, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას საერთო ევროპული მისწრაფებები აქვს და იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირი ამ მისწრაფებებს ვილნიუსის სამიტზე ჯეროვნად შეაფასებს.

მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, 24-25 ივნისს საქართველოს უკრაინის წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვევა უკრაინის ვიცე პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

გუშინ ასევე თბილისში უკრაინის ახალი საელჩო გაიხსნა. გარდა ამისა, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა „საქართველოს და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების საგზაო რუკას 2013-2014 წლებისთვის“ მოაწერეს ხელი.

პრესკონფერენციაზე უკრაინის პირველმა დიპლომატმა განაცხადა, რომ ეუთო კონფლიქტისპირა რაიონებში არსებული მდგომარეობის გამო შეწუხებულია.

ეუთო-ს მოქმედმა თავმჯომარემ, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლეონიდ კოჟარამ თავის ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე ასევე განაცხადა, რომ კონფლიქტები მოლაპარაკების ფარგლებში უნდა გადაწყდეს.

– ჩვენ შეწუხებულები ვართ ცალმხრივი მოქმედებებით, რომელიც კონფლიქტის ზონაში იკვეთება. ეს ქმედებები მიმართულია თავისუფალი მიმოსვლის შეზღუდვისკენ. ვფიქრობ, ეს საკითხი მოლაპარაკებების ფარგლებში უნდა გადაწყდეს. ჩვენი წარმომადგენელი მუდმივად ჩართულია ამ პროცესში და მხარს არ დავუჭერთ ცალმხრივ ქმედებებს, რომელიც მოლაპარაკების პროცესს ხელს უშლის, – განაცხადა კოჟარამ.

„მალე დავასახელებ იმ დეპუტატებს, რომლებიც აგვისტოს ომის დროს გაიქცნენ“

გულიკო ბალაძე

ცოტა ხნის წინ ყოფილმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილმა გამოძიებისთვის დასვა კითხვა და იკვლევს, სად წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში უცხოეთიდან დახმარების სახით შემოსული ოთხმილიარდ-ნახევარი.

ახლა გურამ ვახტანგაშვილი იკვლევს, ეს უცხოური მილიარდები სააკაშვილმა და მისმა ჯგუფმა გაიყო, მისი დიდი ნაწილი ნაცების ჯიბეებში დაილექა თუ კონცერტებს მოხმარდა? თუ კარგად გამოვიკვლევთ, მივხვდებით, რომ სააკაშვილს შემოსული დიდი ფულის გამნაწილებლადაც ვანო მერაბიშვილი ჰყავდა.

როგორც ჩანს, სააკაშვილი სხვას არ ენდობოდა და, ამგვარად, პოლიციელი ვანო მერაბიშვილი მშენებლად მოგვევლინა. ყველას კარგად ახსოვს, წეროვანსა და სხვა ადგილებში, გორიდან მოყოლებული, გზისპირა ტერიტორიებზე, ბოდიში და, დევნილებს საკათმეებივით სახლები რომ აუშენა (რომლებიც ახლა უკვე ინგრევა), იმ მშენებლობებს ვანო ხელმძღვანელობდა.

– ბატონო გურამ, თუ გაარკვიეთ, სად წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული ოთხმილიარდ-ნახევარი დოლარი?

– დღემდე ვიკვლევ, სად წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ ამერიკასა და ევროპიდან შემოსული დახმარება ოთხმილიარდ-ნახევარი, მაგრამ ბოლომდე ვერ გავარკვიე. კონფლიქტის ზონის მოსაზღვრედ მდებარე გორის რაიონის სოფლების მოსახლეობამ, რომლებიც ჩვენი კონტროლის ქვეშაა (მაგალითად, ერგნეთი, მეღვრეკისი, კირწნისი, ნიქოზი, მერეთი, დიდსი, არმორქორდი და სხვა სოფლები), ცხინვალის რეგიონის გარშემოა და გადაწვა მტერმა, დახმარების სახით მიიღო 25-25 ათასი დოლარი (ეს ძალიან ცოტაა), ხუთიათასდოლარიანი ერთოთახიანი კოტეჯები აუშენეს. ჩვენებს, ხეობის მოსახლეობის ნაწილს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს (სახლი, კარი, მინდორი, ბაღი, ვენახი, მამა-პაპის საფლავები), დაურიგეს 10 ათასი დოლარის კომპენსაცია. ეს ის მოსახლეობაა, სულ მთლიანად რომ შიშველ-ტიტვლები გამოვიდნენ, აბსოლუტურად არაფერი რომ არ გაჩნდათ. ზოგისთვის ეს მცირედი 10 ათასი დოლარი დღესაც არ მიუციათ. სად წავიდა ეს თანხები და რატომ არ დაკმაყოფილდა ხეობის მთელი მოსახლეობა. ყველა ხეობის მოსახლემ რატომ არ აიღო ეს მცირედი 10 ათასი დოლარი მაინც? 30 ათას დოლარსა და 10 ათას დოლარს შორის განსხვავება, მე მგონი, ძალიან დიდია. მაინტერესებს, ვინ გადაწყვიტა, რომ 10 ათასი დოლარი მიეცათ? იქნებ 9 ათასი დოლარი ეკუთვნოდათ ან 90 ათასი?

– ანუ თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ ეს ფული მიითვისეს?

– ალბათ მიითვისეს, თორემ ოთხმილიარდ-ნახევარი რომ გაყოფილიყო ხეობის მოსახლეობასა და კოდორის ხეობის მოსახლეობაზე (კოდორის ხეობის მოსახლეობაც ჩვენი ხეობის მოსახლეობასავით სულ შიშვლები გამოვიდნენ 10 ათას დოლარზე მეტი არ ეკუთვნოდათ? მაინტერესებს, სად წავიდა ეს თანხები და ვის მოხმარდა? ხომ არ მოხმარდა ეს ფული კონცერტებსა და მსგავს გასართობებს? მე, როგორც ხეობის მოქალაქესა და 40 წლის განმავლობაში ომსა და უბედურებაში ნამყოფს (ერთ დღეს არ მიმიტოვებია), მაინტერესებს, ეს ფული თანაბრად რატომ არ განაწილდა? კიდევ ერთი რამ მაინტერესებს: 2004 წლის აგვისტოში პატარა კონფლიქტი რომ იყო, მაშინ ირაკლი ოქრუაშვილმა (რომელსაც ზოგი აქებს და ზოგი აგინებს) ვაუკაცურად იბრძოლა. 2004 წელს ხეობიდან ჯარის გაყვანაზე ხელი რომ მოწერა, ირაკლი ოქრუაშვილმა ერთი მეტრი არ დაგვაკარგვინა და, რასაც ჩვენ ვაკონტროლებდით, ის ისევ ჩვენი კონტროლის ქვეშ დარჩა. რატომ არ მოხდა ასეთი რამ 2008 წელს? პრეზიდენტმა კაპიტულაციას ხელი რომ მოაწერა ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით, ვინ მისცა ბრძანება ჩვენს საჯარისო ფორმირებებს, კონფლიქტის ზონიდან – ხეობებიდან – გამოსულიყვნენ და კაზაკებისა და ჩეჩნებისთვის დაეტოვებინათ მთლიანად გორის რაიონი? როგორც 2004 წელს მაგრად მოიქცნენ, 2008 წელსაც ისე მოქცეულიყვნენ, უკეთესი ვითარება იქნებოდა. პატარა ლიახვის ხეობაში 11 აგვისტოს შემოვიდნენ. 11-12 აგვისტოს დაიწყეს სოფლების გადაწვა, საწყალი ჩვენი ხალხი გამოსული რომ იყო. ჯარი 8 აგვისტოს გამოიქცა, ხალხი კი 11 აგვისტომდე იქ იყო. ხომ შეგვეძლო, ცეცხლის შეწყვეტასთან ერთად იქ გაჩერებულიყვნენ? რომ აცხადებდნენ ჯავასა და სხვადასხვა სოფლებს ვაკონტროლებთო, ყველაფერი ტყუილი იყო. აბსოლუტურად არც ერთი სოფელი არ ყოფილა ჩვენი კონტროლის ქვეშ.

– ბატონო გურამ, სააკაშვილმა რომ გამოაცხადა, სამშვიდობო დერეფანი გავაკეთეთ და 4 საათით ვაჩერებ ბრძოლებსო...

– ყველაფერი ტყუილია. თითქოს დერეფანი გააკეთა, ტე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პაატა ზაქარეიშვილი: „ჯობია, საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში ბიზნესი არ ჰქონდეთ“

ნათია ხურცილავა

რუსეთის ფედერაციის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ მსჯელობის საგანი გახდა.

სერგეი ლავროვის უწყება მზად არის დაიწყოს მოლაპარაკებების პროცესი რეგულარულ საჰაერო ფრენებთან დაკავშირებით.

ლავროვის უწყებას, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი პირველი პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძე გამოეხმაურა.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით, იმ თემებზე, რაზეც 6 თვის წინ მოილაპარაკეს, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ სერიოზული წინსვლაა.

– იმ თემებზე, რაზეც ჩვენ 6 თვის წინ მოვილაპარაკეთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებებით საკმაოდ სერიოზული წინსვლაა და სადღაც 80-90%-ით ეს შეთანხმებები ჩვენ უკვე შევასრულეთ. გარკვეული პოზიტიური დინამიკა მართლაც არის, თუმცა მე ყოველთვის ვიმეორებ და ხაზს ვუსვამ, რომ იმ დიდი პრობლემების მოგვარებას, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაწუხებს, ამას ყველაზე მეტი დრო დასჭირდება, ეს უკვე შემდეგი ეტაპია, – განაცხადა აბაშიძემ.

მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი წარმომადგენელი კი საქართველოს მოქალაქეებს, საჯარაუდოდ, ევროპისკენ ორიენტაციას ურჩევს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის აზრით, სჯობს საქართველოს მოქალაქეებმა რუსეთის ნაცვლად, სხვა ქვეყნებზე აიღონ ორიენტაცია.

– მოქალაქეების უდიდესი ნაწილი ძალიან წვალობს ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის თუ სხვადასხვა მიმართულებებიდან რუსეთში ჩასვლით. მე მიმაჩნია, რომ ჯობია, საქართველოს მოქალაქეებმა ნელ-ნელა სხვა ორიენტაცია აიღონ და სხვადასხვა ქვეყნებში ჰქონდეთ ბიზნესი, მაგრამ მე ვერავის ვუკარნახებ, როგორ და რა ფორმით აწარმოონ თავიანთი მომავალი. მათ, ვისაც მიაჩნიათ, რომ რუსეთთან ურთიერთობა თუ რუსეთში ბიზნესი მათთვის მნიშვნელოვანია როგორც პირებისთვის, მათი ოჯახებისთვის, ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ამ კატეგორიის მოსახლეობას, რომ მგზავრობისთვის უკეთესი პირობები ჰქონდეს, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პრესასთან ისაუბრა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა რეზოლუციაა.

პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ამერიკის კონგრესის ინფორმაციის წყარო გულწრფელი არ არის, თუმცა ეს მთავრობას არ უხსნის პასუხისმგებლობას, რომ ამერიკასთან მეტი იმუშაოს.

– რაკი ქვედა პალატაში ასეთი საკითხები განიხილება, ეს არ არის სახუმარო საკითხი, ნამდვილად ანგარიშგასაწევია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ჯობია კონგრესის საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდოთ, თუ როგორ იქნება მიღებული ეს ტექსტი. ნებისმიერ შემთხვევაში მე ვთვლი, რომ საჭიროა მეტი მუშაობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და კონგრესთან, რათა მათ ჰქონდეთ სრული ინფორმაცია, თუ რა ხდება საქართველოში. მე მგონია, რომ მათი ინფორმაციის წყარო არ არის მთლად გულწრფელი, მაგრამ ეს პასუხისმგებლობას არ უხსნის მთავრობას, რომ იმუშაოს ამერიკასთან, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობათა პალატის კანონპროექტის ვერსიაში წერია, რომ „საქართველოს მთავრობის მიერ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გატარებულმა ზომებმა, რომლებიც გარკვეულწილად, პოლიტიკური მოსაზრებებით არის მოტივირებული, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობაზე“.

სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელის ეკა ტყეშელაშვილის შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის რეზოლუცია ხელისუფლებისთვის გამომაფხიზლებელი უნდა იყოს.

ტყეშელაშვილი საქართველოსთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ რეზოლუციას კონსტრუქციულს უწოდებს.

– კონსტრუქციულია და ამას პირიქით, მადლიერად უნდა შეხედოს დღევანდელმა ხელისუფლებამ საიმისოდ, რომ გამომაფხიზლებელი ელემენტი ჰქონდეს ასეთი ტიპის განცხადებებს, რადგან თითოეული ის კონგრესმენი, რომელიც ასეთი ტიპის აქტს მხარს უჭერს ან ინიცირებას უკეთებს, პირველ რიგში საქართველოს მეგობარია, ან ისეთი ადამიანია, რომელიც იმდენად დაინტერესებულია საქართველოს კეთილდღეობით და მისი განვითარებით, რომ ახლავე სურს, თავისი სიტყვა თქვას საიმისოდ, რომ შეცდომა არ იქნას დაშვებული, ან უკვე დაშვებული შეცდომა გამოსწორებული იქნას, – განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლერი ხაბელოვი: „სამხრეთი ოსეთი პირველად სააკაშვილმა აღიარა“

რატომ უნდა მიიღოს საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ხმაურისა და განხილვების შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას. სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ ნაციონალები ილაშქრებდნენ. მათი განცხადებით, საქართველომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. დეპუტატ შოთა მალაშხიას აზრით კი, სხვა ქვეყნებიც უნდა დაგვეყენებინა ბოიკოტის გუნებაზე. მალაშხიას მოწოდებებმა არ გაჭრა და მსოფლიომ

სოჭის ოლიმპიადას ზურგი არ შეაქცია. საქართველოც დათანხმდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობას. ახლა ნაცმოძი გმინავს, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აღიარებს სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

გამოიწვევს თუ არა ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას, რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს ეს ოლიმპიადა – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი ესაუბრება.

– ქვეყნის ხელისუფლებამ უკვე გადაწყვიტა, რომ საქართველო სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს. ნაციონალები და საზოგადოების ერთი ნაწილი კი მიიჩნევენ, რომ ჩვენ ამ ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ.

– არავითარი ბოიკოტი, საქართველომ ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა უნდა მიიღოს. სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა-არმონაწილეობაზე პარლამენტში რამდენჯერმე გაიმართა მსჯელობა. ჩვენ ნაციონალებს ვთხოვეთ, მოეყვანათ არგუმენტები, თუ რატომ უნდა გამოგვეცხადებინა ბოიკოტი. მათი მხრიდან ძალიან უსუსური არგუმენტები იქნა წარმოდგენილი. ყველაზე საინტერესო მოსაზრება ჰქონდა შოთა მალაშხიას.

– რა შემოგთავაზათ მალაშხიამ?

– მან განაცხადა, რომ საქართველომ სხვა ქვეყნებიც უნდა დაითანხმოს ამ ღონისძიების ბოიკოტზე. მე ვუთხარი, დაგელოდებით და, თუ სხვა ქვეყნებიც შეუერთდებიან ამ ბოიკოტს, ჩვენც აღარ მივიღებთ ოლიმპიადაში მონაწილეობას-მეთქი. მომხრეების მოსაძებნად ნაციონალებს დრო მივეცით, მონაწილეობაზე გადაწყვეტილება ნაუცბათევად არ მიგვიღია. ბოიკოტის სურვილი არც ერთ ქვეყანას არ გამოუთქვამს. მარტო ჩვენს ბოიკოტს კი აზრი არ ექნებოდა. ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზამთრის სახეობებში ჩვენ ისედაც გვიჭირს და ეს ჩვენი სპორტსმენებისთვის კარგი ასპარეზი იქნება გამოცდილების მისაღებად.

– ყველა შეგუებული ვართ, რომ ქართველები ზამთრის ოლიმპიადაზე მედლებს ვერ მოიპოვებენ. თუნდაც ამიტომაც ხომ არ ღირდა, თავი შეგვეკავებინა მონაწილეობაზე?

– გასაგებია, რომ მედლის მოპოვების შანსები ნაკლები გვაქვს, მაგრამ ამის გამო ბოიკოტს ვერ გამოვაცხადებთ. ეს ღონისძიება რუსეთის ეგიდით რომ იმართებოდეს, მაშინ ბოიკოტს აზრი ექნებოდა. მაგრამ ეს არის ოლიმპიადა, რომელსაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ატარებს. ამ დიდი ოჯახის წევრები ვართ ჩვენ. ამიტომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. მე, პირადად, კომფორტს ნამდვილად არ მიქმნის ის ფაქტი, რომ იქ მარტო მონაწილეობის მისაღებად მივდივართ. არადა, ამბობენ, რომ ოლიმპიადაში მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება.

– თქვენ, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, რას ფიქრობთ, მართლაც მთავარია მონაწილეობა?

– მთავარია მონაწილეობა, თუმცა გამარჯვება, რა თქმა უნდა, უკეთესია. ამ ღონისძიებაში მონაწილეობით ჩვენ ხაზს გავუსვამთ, რომ ამ დიდი ოჯახის წევრი ვართ. ოჯახში როცა სიხარულია, ყველას უხარია, როცა მწუხარებაა, ყველა წუხს. იგივე მდგომარეობაა ოლიმპიურ ოჯახშიც. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 204 ქვეყანას აერთიანებს. ზამთრის ოლიმპიადაში გაცილებით ნაკლები ქვეყანა მონაწილეობს. ამ ქვეყნების რიგში ჩვენ არა ვართ, რადგანაც წინა ოლიმპიურ თამაშებშიც გვაქვს მონაწილეობა მიღებული და 2014 წლის თამაშებისთვის ბოიკოტის გამოცხადება არც პოლიტიკური და მით უმეტეს სპორტული თვალსაზრისით გამართლებული არ იქნება. მე კარგად მესმის ხალხის განწყობა, რადგან ეს ღონისძიება რუსეთში ტარდება. მათ გასაგონად ვიმეორებ, რომ ეს ღონისძიება ოლიმპიური ეგიდით ტარდება. სოჭი ოლიმპიურ ქალაქად პუტინს არ აურჩევია. ეს ოლიმპიურმა კომიტეტმა აირჩია. ჩვენც ვმონაწილეობდით იმ არჩევნებში, გვინდოდა, 2914 წლის ოლიმპიადა ბორჯომ-ბაკურიანში ჩატარებულიყო. არ გაგვიმართლა, გამარჯვება დარჩა რუსეთს.

– მაშინ რუსებს ეს გამარჯვება საქართველოს ხელისუფლებამაც მიულოცა.

– სააკაშვილი პირველი იყო, რომელმაც რუსებს მიულოცა. ამის გაკეთება ვერავინ დაასწრო. იმასაც დაჰპირდა, მხარში ამოგიდგებითო.

– თუმცა მაშინ აგვისტოს ომი ჯერ არ იყო მომხდარი.

– ეს ომამდე იყო. იმ ომმა ბევრი რამ შეცვალა, შეიცვალა განწყობა რუსეთის მიმართაც. მაგრამ ზამთრის ოლიმპიადა და რუსეთი ერთი და იგივე არ არის. იქ წაუსვლელობით ჩვენს დაბალ კლასს ვაჩვენებთ. დამიჯერეთ, იქ მონაწილეობით ჩვენს ღირსებას გავუსვამთ ხაზს. აგვისტოს ომის დროს რუსეთისგან დიდი ტკივილი მივიღეთ, მაგრამ ბოიკოტით ვერც ტკივილს გავანელებთ და ვერც ვერაფერს მოვიგებთ. სპორტულ სამყაროში ჩვენზე იტყვიან, რომ არასარიოზული ხალხი ვართ. პოლიტიკას რაც შეეხება, ვინმემ მითხრას, რა დივიდენდებს მოუტანს საქართველოს სოჭში წაუსვლელობა. რუსეთისთვის ბოიკოტის გამოცხადება თუ უნდათ, სხვა რამეებში გამოუცხადონ. საამისოდ ძალიან ბევრი თემაა, მაგრამ სპორტს თავი დაანებონ.

– ამბობთ, ბოიკოტი საქართველოს არანაირ სარგებლობას არ მოუტანსო. მაშინ ის გვითხარით, რა სარგებლობას მოუტანს საქართველოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა. ფიქრობთ, რომ ამის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობები დარეგულირდება?

– სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით რუსეთს ჩვენკენ ვერ შემოვატრიალებთ. ეს ძალიან რთული პროცესია და მას დიდი ხანი დასჭირდება. თუმცა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. აქამდე, მოგეხსენებათ, რომ საქართველო და რუსეთი ერთმანეთში საერთოდ არ საუბრობდნენ. დღეს დიალოგი დაიწყო.

– ექნება აზრი ამ დიალოგს?

– დიალოგს ყოველთვის აქვს აზრი.

– პუტინი ამბობს, რომ ცხინვალის და სოხუმის აღიარებას უკან არ წაიღებს. ამ შემთხვევაშიც აქვს აზრი დიალოგს?

– ეს არის პოლიტიკა, პოლიტიკაში კი ხშირად იცვლება ხოლმე რაღაცები. ამიტომ არის დიალოგის დაწყება აუცილებელი. ამ მხრივ ჩვენ კარგი ნაბიჯი გადავდგით. გზა აუცილებლად გამოჩნდება. ოლიმპიადაში არმონაწილეობა საქართველოს ხეირს არ მოუტანს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ქვეყანა სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოდ ჩატარების ღონისძიებებში მონაწილეობს. ამ თემაზე სასაუბროდ საქართველოში ფებეერის წარმომადგენელიც კი იყო ჩამოსული. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ამ თამაშებში ჩართული ვართ. ქვეყანა, სადაც ეს ღონისძიება ტარდება, საქართველოს ესაზღვრება. ჩვენ იქ მონაწილეობა რომ არ მივიღოთ და რამე მოხდეს, ხომ ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება. ჩვენს ბოიკოტს სწორედ ამით ახსნიდნენ. ბევრ რამეზე გვიწევს დაფიქრება, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ. ჩვენს სავალ გზაზე დინჯად უნდა ვიაროთ. ემოციებით მიღებული გადაწყვეტილება ხეირს არ მოგვიტანს. ბოლო 9 წლის განმავლობაში ემოციებისა და გინების მეტი არაფერი მოგვისმენია, რა შედეგიც მოიტანა, ამან ყველამ ვნახეთ. ახლა დიალოგისა და ნორმალური საუბრის დრო დადგა.

– კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა ფიქრობს, რომ სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი მონაწილეობის შემდეგ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობას კიდევ ბევრი ქვეყანა აღიარებს. ამაზე რას ფიქრობთ?

– ვისი მხრიდან საუბრობენ აღიარებაზე ან ვის რას აბრალებენ. იმას რატომ არ იძახიან, პირველმა ვინ აღიარა სამხრეთი ოსეთი. ეს გადაწყვეტილება სააკაშვილმა მიიღო.

– რას გულისხმობთ?

– ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის შემდეგ ცხინვალის რეგიონს ყველა სამაჩაბლოდ აღიარებდა. სააკაშვილმა კი სამხრეთი ოსეთი აღადგინა. ის ხშირად ამაყობდა, ვერავინ ბედავდა, ეხსენებინა სამხრეთი ოსეთი და ეს მე გავაკეთეო. მაგან აღიარა სამხრეთი ოსეთი პირველმა და ახლა სხვებს ვაბრალებთ. ის, რაც ცხინვალის რეგიონში მოხდა, წინა ხელისუფლების დამსახურებაა. სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაცია მე შევქმენი? მაგათ მოიგონეს ეს ყველაფერი და 2006 წელს ჩაატარეს საპრეზიდენტო არჩევნები. მაშინ რამდენჯერმე ვთქვი, რომ ეს ცუდად დასრულდებოდა. ასეთი გადაწყვეტილებები შედეგს არ მოიტანდა და საქმესაც გააფუჭებდა. ასეც მოხდა. რუსეთმა, მართალია, აღიარა სამხრეთი ოსეთი, მაგრამ ეს პირველმა სააკაშვილმა გააკეთა და ახლა თავის გაფუჭებულ საქმეს ჩვენ გვაბრალებს და რადგან ხელისუფლება ვართ, მაგის შეცდომები უნდა გამოვასწოროთ. სწორი გზით მივდივართ და მაგიტომაც ვერ ავყვებით მაგათ გამოხდომებში. იმდენი საქმე გვაქვს, სალაპარაკოდ არ გვცალია.

– ანუ, როგორც ნაციონალები იტყოდნენ, საქმე ლაპარაკის ნაცვლად.

– რა თქმა უნდა. ეს ლოზუნგი ნამდვილად კარგი იყო, მაგრამ, სინამდვილეში, მხოლოდ ლაპარაკობდნენ, საქმე კი ჩვენ დაგვიტოვეს გასაკეთებლად. რურუას შიშებს რაც შეეხება, მაშინ რატომ არ შეეშინდა, სააკაშვილმა სამხრეთი ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნები რომ ჩაატარა.

ნუგზარ წიკლაური: „ხელისუფლების სიმბოლო ნანა კაკაბაძე და თენგიზ კიტოვანი გახდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პარლამენტში თენგიზ კიტოვანის აჩრდილი გამოჩნდა. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, ახალ ხელისუფლებას თავდაცვის ექსმინისტრზე მზე და მთვარე ამოსდის. ნაციონალი დეპუტატი განსაკუთრებით ნანა კაკაბაძეზეა გამწარებული. ამ მხრივ, ის გამონაკლისი არ არის, რადგანაც მთელი ნაცმოძი რუსეთის მერე ქვეყნის მთავარ საფრთხედ კაკაბაძეს განიხილავს.

2 დღის წინ პარლამენტმა ნანა კაკაბაძის მიერ ინიცირებული რეზოლუცია, „სამართლიანობა უნდა აღდგეს“ განიხილა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის სამართლებრივ შეფასებას გულისხმობს.

პარლამენტის გადაწყვეტილებით ნუგზარ წიკლაური გულმოკლულია. მისი განცხადებით, ცუდია, რომ ხელისუფლების სიმბოლო ნანა კაკაბაძე და თენგიზ კიტოვანი ხდებიან.

– ძალიან ცუდია, რომ ამ ხელისუფლების სიმბოლო ხდებიან ნანა კაკაბაძე და თენგიზ კიტოვანი. ესენი არიან ადამიანები, რომელთა სახელიც უკავშირდება თბილისის ნგრევას, სხვადასხვა დაჯგუფების შექმნას და ა.შ. ეს ადამიანები ითხოვენ იმ პერიოდის გასამართლებას, როცა საქართველოს ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა და კიდევ სხვა ბევრი სახის პროგრესი იქნა მიღწეული. მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ ჩემი მოწოდება გათვალისწინებული იქნება, თუმცა მოვუწოდებ პარლამენტს, რომ ამ ოდიოზური ფიგურებს არ აჰყვნენ, – განაცხადა წიკლაურმა.

მის აღშფოთებას ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ პროკურატურამ ციხის კადრების ავტორი ლადო ბედუკაძე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

– დღეს ბედუკაძის გამოშვება, უბრალოდ, არის შეფურთხება ქართველი ხალხისთვის და იმ ადამიანების შეურაცხყოფა, რომლებმაც ციხის კადრები სრული სიმძაფრით განიცადეს. თუ ხელისუფლებასა და ბედუკაძეს შორის გარკვეული გარიგება არ არსებობდა, მაშინ მე არ მესმის, რა შეიძლებოდა გამხდარიყო მთავარი პროკურორის საგანგებო თავდებობის საფუძველი. ბედუკაძის ციხიდან გამოშვება ნიშნავს, რომ ეს ხელისუფლება თავად არის ბედუკაძე, ნანა კაკაბაძე და თენგიზ კიტოვანი. მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ბედუკაძის გათავისუფლებით თავის მომავალს ასუსტებს, – აღნიშნა აღშფოთებულმა წიკლაურმა.

დეპუტატს არც კანონიერი ქურდის ტარიელ ფოცხვერიას დაკავება დაუტოვებია შეუფასებელი. ფოცხვერია ცოტა ხნის გაათავისუფლეს, გუშინ კი ისევ დააკავეს. წიკლაური არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ ე.წ. კანონიერ ქურდ ტარიელ ფოცხვერიას თავისუფლების სანაცვლოდ გარკვეული პირობა შესთავაზა.

– დავიწყოთ იქიდან, რომ თავის დროზე ტარიელ ფოცხვერია ციხის ბუნტის ორგანიზებისთვის დააკავეს, თუმცა ის ვადამდე ადრე ამნისტიით გაათავისუფლეს. ეს ჩემთვის მიუღებელი იყო, მაგრამ ამნისტიის პირობად სახელდებოდა ფოცხვერიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და იყო საუბარი, რომ მას შესაძლებლობა მისცემოდა, ის რამდენიმე თვე, რაც დარჩენილი აქვს, ახლობლებთან გაეტარებინა. ამის მიუხედავად, ახლა ვიგებთ, რომ ის კვლავ დაიჭირეს. გასაოცარია, რომ ეს ხდება გათავისუფლებიდან 10 დღეში. ჩნდება ეჭვი, რომ ის ციხიდან რაღაც პირობით გამოუშვეს და ამ პირობის შეუსრულებლობის გამო კვლავ დაიჭირეს, – აღნიშნა დეპუტატმა.

2 დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში საიდუმლო სამალავის აღმოჩენა გვამცნო. ნაციონალები ამ აღმოჩენას სხვადასხვანაირად ხსნიან და შსს-ს უნდობლობას უცხადებენ.

შსს-ს ქმედებებით აღფრთოვანებული არც წიკლაური არ არის. მისი განცხადებით, იარაღის საწყობები სპეციალური განკარგულებებით, საიდუმლო დოკუმენტების საფუძველზეა შექმნილი და შსს-ს ამაზე სრული ინფორმაცია აქვს.

– 17 ივნისს შიდა საწყობები კიდევ ერთხელ იქნა გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციებისთვის. შარშანწინ ნომბერში უკანონო საწყობებზე ინფორმაცია პირველად გამოაქვეყნეს, ახლა მოხდა ამ ინფორმაციის გამოტანა საჯაროდ, უკვე მეორედ. მინდა, განვმარტო, რომ იარაღის საწყობები შექმნილია სპეციალური განკარგულებებით, საიდუმლო დოკუმენტების საფუძველზე. აქვე გეტყვით, რომ თავდაცვისა და შს სამინისტროები აღნიშნული საწყობების გეოგრაფიული მდებარეობის სრულ რუკას ფლობენ. ახლა ერთ-ერთ საწყობში მივიდნენ, რაღაც წამლები და ფურცლები დააყარეს და ამბობენ, ვითომ რაღაც აღმოაჩინეს, – განაცხადა წიკლაურმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აღნიშნულ ფაქტს „თალიბების“ სახელით გავრცელებულ ვიდეოებს უკავშირებს. ამ ვიდეოების გამავრცელებელი შსს-მ ჯერ ვერ აღმოაჩინა და ნაციონალები ფიქრობენ, რომ ღარიბაშვილის უწყების ყველა ნაბიჯი ამ ფაქტის გადაფარვას ისახავს მიზნად.

– მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ უკვე იცის, თუ ვინ იყო ვიდეოების ავტორი და შეგნებულად ცდილობს ამ ინფორმაციის გადაფარვას. არ უნდათ, დაასახელონ ადამიანი, ვინც ეს გააკეთა. უკვე საკმაოდ ბევრი დრო გავიდა იმისთვის, რომ ეს ძალიან მარტივი საქმე გახსნილიყო და მუქარის შემცველი ვიდეოების ავტორის ვინაობა ცნობილი გამხდარიყო. აქ არაფრის გაკეთება არ არის საჭირო, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებამ, უბრალოდ, ვიდეოების ავტორთა ვინაობა უნდა დაასახელოს, – აღნიშნა ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა.

ნუგზარ წიკლაურმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის საყვარელ გასართობზე ვეტოზეც ისაუბრა. სააკაშვილი თვეში ერთხელ რომელიმე კანონს მაინც ადებს ვეტოს, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა იოლად ძლევს. სააკაშვილი კი მაინც ადებს და დებს. დეპუტატი ეჭვობს, რომ ვეტოს დადების უფლებას პრეზიდენტი აუცილებლად გამოიყენებს. წიკლაურს სჯერა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონს სააკაშვილი ვეტოს დაადებს.

– განათლების კანონთან დაკავშირებით მიმაჩნია, რომ კანონის ამ სახით მიღება განათლების სისტემის უკანდახევაა. პირველ რიგში, კანონპროექტთან დაკავშირებით პროცედურული დარღვევები არსებობდა, რადგან ის პარლამენტში ყოველგვარი განხილვების გარეშე, „პარტიზანული“ წესით იქნა შემოსული. მთავრობას უნდა, რომ უმაღლესი სასწავლებლების რექტორები თავად დანიშნოს, ამის გამო დოქტორის ხარისხის არმქონე ახალგაზრდა მეცნიერებს მოტივაცია ეკარგებათ. მე ვფიქრობ, რომ ამ კანონთან დაკავშირებით აკადემიურ წრეებთან, სტუდენტებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს. ჩემი აზრით, ეს არის კანონი, რომელზეც პრეზიდენტის ვეტო იქნება გამოყენული, – განაცხადა წიკლაურმა.

შსს-მ და პროკურატურამ უნდა აღკვეთონ პირად და საქმიან ცხოვრებაში ჩარევისა და შანტაჟის მორიგი უპრეცედენტო მცდელობა!

ვანო ჩხარტიშვილსა და ინა გუდავაძეს შორის არსებული დავა, ამ დღეებში გარკვეული დაინტერესებული ძალებისა და მედიის არაჯანსაღი აჟიოტაჟის საფუძველი გახდა. ამ დავის მიმდინარეობის თითოეულ დეტალზე ჩვენ მუდმივად ვაყენებდით საქმის კურსში ქართულ საზოგადოებას და ამჯერადაც ასე გვინდა მოვიქცეთ. პრეტენზია ვანო ჩხარტიშვილის მიმართ ინა გუდავაძის მხრიდან ოფიციალურად პირველად გასული წლის თებერვალში დაფიქსირდა. ბატონმა ვანომ მაშინვე შესთავაზა ქალბატონ ინას მსოფლიოში აღიარებული 5 საუკეთესო აუდიტორული კომპანიიდან აერჩია ერთ-ერთი, რომელიც მისი და ბადრი პატარკაციშვილის საქმიანი ურთიერთობის ყველა ნიუანსს შეისწავლიდა. ბატონი ვანო მზად იყო დაეთმო ნებისმიერი აქტივი, რომელზეც დასაბუთებული პრეტენზია გაჩნდებოდა. საკუთარ თავზე იღებდა იგი ფირმის მომსახურეის ხარჯებს. წინა ხელისუფლების ზეწოლის გამო, შეთანხმება არ შედგა და დავამ ინა გუდავაძის ინიციატივით საერთაშორისო სასამართლოში გადაინაცვლა. ბრიტანეთის სასამართლომ 2012 წლის ივნისში უსაფუძვლოდ სცნო ინა გუდავაძის მოთხოვნები და მას ვანო ჩხარტიშვილის სასარგებლოდ სოლიდური თანხა დააკისრა.

ამის შემდეგ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინა გუდავაძემ რატომღაც იმ რეჟიმის პროკურატურას სთხოვა სიმართლის დადგენა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლე შეიწირა და უსამართლობისა და ძალადობის სიმბოლო იყო. 2012 წლის ივნისში მან საჩივარი შეიტანა სააკაშვილის პროკურატურაში. ვიმეორებთ – 2012 წლის ივნისში და არა 2013 წლის დეკემბერში, როგორც ამას არცთუ შეუგნებლად, აღნიშნავენ ჩვენი ოპონენტები. 2013 წლის იანვარში ახალმა პროკურატურამ ინა გუდავაძეს 9-ვე ეპიზოდთან დაკავშირებით საკითხის განხილვაზე უარი უთხრა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. იმავე საქმეზე ხელახლა გამოძიების დაწყება აშკარა ნონსენსია და შეუსაბამოა ცივილიზებულ სამართლებრივ სივრცესთან. შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი გამოვთქვათ, რომ ამის უკან, ისევე როგორც 2012 წლის ივნისში, პირები დგანან. სხვაგვარად გაუგებარია რატომ უნდა ეძებო დამატებით სამართალი ჯერ კიდევ დაულაგებელ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, როცა აღნიშნული საკითხისა და ეპიზოდების განხილვა მსოფლიოში აღიარებულ ბრიტანეთის ავტორიტეტულ სასამართლოში თავად ინა გუდავაძის სარჩელის საფუძველზე დღესაც მიმდინარეობს.

თქვენი ყურადღება ასევე გვინდა შევაჩეროთ ჩვენი ოპონენტების მხრიდან გამიზნული სიცრუის ტირაჟირების შემდეგ ფაქტებზე.კერძოდ. მათი მთავარი არგუმენტი, რომ ვანო ჩხარტიშვილმა აქტივები გაყიდა 2008 წელს, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა წყლის სიცრუეა. აქტივების ნაწილი პატარკაციშვილისგან შეძენილ იქნა 2006 წლის 16 აგვისტოს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინა ქართულ მედიას. 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილის აქტივები ვერანაირად ვერ გაიყიდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ყველა აქტივი ხელისუფლების მიერ იყო დაყადაღებული. 2008 წელს, ვანო ჩხარტიშვილზე დაწყებული ზეწოლის გასანეიტრალებლად, მოხდა მისივე და არა ბადრი პატარკაციშვილის აქტივების შიდა გადაყიდვა და არა მეპატრონის შეცვლა. აღნიშნული აქტივებიდან გადასახადებს ბიუჯეტში იხდიდა მისი მეპატრონე ანუ ვანო ჩხარტიშვილი. აქტივების მეორე ნაწილი, რომელზეც არის პრეტენზიები, წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათზე როგორ უნდა იყოს ვალდებული ჩხარტიშვილი, სრულიად გაუგებარია.

მიუხედავად ამისა, არის თემები, რომლებიც გასარკვევია და ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი მოლაპარაკების მაგიდასთან მათ მოგვარებაზე.

და ბოლოს. ყველაფრის მიუხედავად, ეს საქმე ერთ ჩვეულებრივ კერძო დავად დარჩებოდა, რომ არა ამ დავის თანხმლები ადამიანის პირად და საქმიან ცხოვრებაში უხეში ჩარევის საშიში რეციდივები. კერძოდ, ამ აჟიოტაჟის ატეხვამდე, „ანონიმი“ ავტორის მიერ სოციალურ მედიაში გავრცელებული იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვანო ჩხარტიშვილის პირადი და საქმიანი ცხოვრების ამსახველი მასალები. ამ მასალების კავშირი ახლა მიმდინარე საინფორმაციო კამპანიასთან უდაოა, რადგან სწორედ ანონიმი ავტორის მიერ გავრცელებული ინგლისის პასპორტი გამოყენებულ იქნა ვანო ჩხარტიშვილის დისრედიტაციისა და მასზე ყალბი ინფორმაციების გასავრცელებლად .

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ გავრცელებული დოკუმენტები ვანო ჩხარტიშვილის პირადი კომპიუტერიდან წინა ხელისუფლების სპეცსამსახურების მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების ნაწილია. ამ და ამ მასალებზე დაყრდნობით ფალსიფიცირებული დოკუმენტების გამოყენებით სააკაშვილის რეჟიმმა ერთხელ უკვე სცადა ვანო ჩხარტიშვილის დაშანტაჟება და დემოკრატიული ძალების მხარდაჭერისაგან მისი ჩამოცილება.

ამჯერად როგორ და საიდან აღმოჩნდა ეს მასალა მავანი „ანონიმის“ ხელში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შსს-ს არ გაუჭირდება, რადგანაც ძალიან ვიწროა წრე იმ ადამიანების, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ ამ მასალებზე, ასევე სირთულეს არ წარმოადგენს „ანონიმი“ ავტორის პიროვნების დადგენა.

ყველა შემთხვევაში, საქმე გვაქვს პიროვნების პირადი და საქმიანი ცხოვრების ამსახველი მასალების დანაშაულებრივად მოპოვებასთან და მათი ასევე დანაშაულებრივად გამოყენების მორიგ უპრეცედენტო შემთხვევასთან. მივმართავთ შსს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს მთავარ პროკურარჩილ კბილაშვილს, აღკვეთონ ადამიანის პირადი და საქმიანი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიის კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმის უხეში დარღვევის მორიგი მცდელობა.

მივმართავთ ასევე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს– ახალგაზრდა იურისტთა და ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციებს, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს, დააწესონ მკაცრი კონტროლი აღნიშნულ საქმეზე, რადგანაც ეს არის ქართული საზოგადოების მორიგი გამოწვევა და თუ ეს მცდელობა უპასუხოდ დარჩა, ხვალ და ზეგ, სპეცსამსახურების არქივებიდან გამოჟონილი მასალებით გარკვეული ძალები შეეცდებიან ქართულ საზოგადოებას თამაშის თავისი წესები მოახვიონ თავს.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ამომწურავი პასუხი გავცეთ სამართალდამცავთა მხრიდან თუ საზოგადოებაში ჩვენს მიმართ გაჩენილ კითხვებს. ქალბატონ ინას კი მოვუწოდებთ დარჩეს დავის ცივილიზებული სამართლებრივი მოგვარების ჩარჩოებში და გაემიჯნოს აგორებული შავი პიარის კამპანიის დირიჟორებს, რადგანაც, ერთი, რომ ასეთი დავები ვერანაირად ვერ გადაწყდება მედიაში დაშანტაჟებით და მეორეც, სწორედ ისინი უშლიან ხელს საკითხის მოლაპარაკების მაგიდასთან მოგვარებას. მათი მერკანტელური ინტერესებისა და უკანონო ქმედებების შესახებ საზოგადოება მალე შეიტყობს.

მანამდე კი შანტაჟის ენაზე საუბარი გრძელდება. გამოჩნდა თურქი ბიზნესმენი, რომელიც ვანო ჩხარტიშვილს უჩივის თითქოსდა მიუღებელი შემოსავლების გამო; ფანტაზიებში უფრო შორს წავიდა „დროულად გამოფხიზლებული“ უფლებადამცველი მელორ ვაჩნაძის ე.წ. „საინიციატივო ჯგუფი“, რომელიც ბიზნესმენის ოფისთან საბჭოთა ანაბრების დაბრუნების მოთხოვნით აქციის გამართვას გეგმავს; ხვალ შესაძლოა კიდევ ახალი „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ-ღლიღვი, დიდო, ქისტი“ გამოგვეცახდონ და მათაც „წაჰკრან თითო ყისტი“ „დაჩაგრული“ ქალბატონის მეგობრების მიერ აგორებულ ამბავს და ა.შ. და ა.შ.

ეს ყველაფერი ღიმილს იწვევს და ამ ყველაფერზე პასუხი ერთია – ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი არასოდეს დაქვემდებარებია ზეწოლას და შანტაჟს და მსგავს ზემოქმედებას არც მომავალში დაექვემდებარება.

ვანო ჩხარტიშვილის პრესსამსახური
18.06.2013.

თურქი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილს 3 მილიონი დოლარის მითვისებაში აღანაშაულებს

კომპანია „პრომეტ ჯორჯია“-ს და „ჯეესკოს“ კაპიტალის 5 %-ის მფლობელმა თურქმა ბიზნესმენმა ომერ სარიმ გუშინ პრესკონფერენცია გამართა და ვანო ჩხარტიშვილი თანხების მითვისებაში დაადანაშაულა.

მისი განცხადებით, ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებულმა კომპანიამ – „სონატა ალიანს ჯორჯიამ,“ აღნიშნული კომპანიების კუთვნილი თანხა, 3 მილინი აშშ დოლარი მიითვისა, რაშიც უშუალოდ, ვანო ჩხარტიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი ლევან ჯღარკავა იყო ჩართული.

„პრომეტკო ჯორჯია“ და „ჯეესკო“ არიან კომპანიები, რომელთა თანხებიც, დაახლოებით 3 მილიონი აშშ დოლარი, ლევან ჯღარკავას მიერ, ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიას დავალებით, მითვისებული და გაფლანგული იქნა.

ამის გაკეთება კი შემდეგნაირად მოახერხეს: 2003 წელს ფოთის პორტის მესამე, მეოთხე და მეექვსე ნავმისადგომების გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა. კომპანიებმა „პრომეტკო ჯორჯიამ“ და „ჯეესკომ,“ მოცემულ ტენდერში გამარჯვება შეძლეს და ტერმინალის მართვა დაიწყეს. ვარდების რევოლუციის შემდეგ, 2004 წელს, კომპანიის მენეჯერებს და პარტნიორებს, სახელმწიფო და სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული პირები დაუკავშირდნენ და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა პარტნიორს თავისი წილის ნახევრის დათმობა და „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედზე“ გადაფორმება მოსთხოვეს, სამაგიეროდ კი დაპირდნენ, რომ კომპანიას, საიჯარო ვადას და ტვირთბრუნვას გაუზრდიდნენ. შეთანხმებაში შედიოდა ასევე ისიც, რომ კომპანია ყველა პარტნიორს თანაბარი პირობებით უნდა ემართათ. ბატონი ომერი ამ წინადადებას არ დათანხმებია, თუმცა დათანხმდნენ კომპანიის ქართველი და სხვა უცხოელი პარტნიორები. მოგვიანებით, კომპანია „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედმა,“ წინასწარი შეთანხმებით დადგენილი პირობების უმრავლესობა დაარღვია და ეტაპობრივად, თავისი 50%-იანი წილი 66%-მდე გაზარდა, რის შემდეგაც კომპანიას, დირექტორის პოსტზე მყოფი ლევან ჯღარკავა ერთპიროვნულად მართავდა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედი“ ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში იყო. პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ თვეში კი, 2008 წლის 10 მარტს „კოპელა,“ „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ ჩაანაცვლა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეს კომპანია ივანე ჩხარტიშვილთან იყო დაკავშირებული.

კომპანია „პრომეტკო ჯორჯიაში“ და „ჯეესკოში“ ომერ სარის მოთხოვნით დანიშნული აუდიტორული შემოწმების დასკვნით, აღმოჩნდა, რომ ლევან ჯღარკავას მიერ საქვეანგარიშოდ და ფიქტიურ კონტრაქტებზე მილიონები იქნა დახარჯული. ამის შესახებ კომპანიის დირექტორისგან ახსნა-განმარტება რამდენჯერმე მოვითხოვეთ, თუმცა ისინი კომპანიის 5% წილის მქონე პარტნიორს პარტნიორად არ თვლიდნენ. ამის შემდეგ იძულებულები ვიყავით მიგვემართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან და ამის შესახებ ძიება უკვე დაწყებულია“ – განაცხადა ომერ სარის წარმომადგენელმა მამუკა კაკუშაძემ.

ბიზნესმენ ომერ სარის განცხადებით კი, მისთვის ცნობილი იყო, რომ მისი ბიზნესპარტნიორი ვანო ჩხარტიშვილი იყო.

„ჩემთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ჩემი ბიზნეს პარტნიორი ვანო ჩხარტიშვილი იყო. ლევან ჯღარკავა კი, მისი წარმომადგენელი იყო და ყველა მის ბრძანებას ასრულებდა. მე ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელს, რატი გამბერიას, გერგეტის ქუჩაზე არსებულ ოფისში ვხვდებოდი. გამბერიას ლევან ჯღარკავას მიერ აღებული თანხის დაბრუნება მოვთხოვე, სანაცვლოდ კი ჩემი კომპანიის დარჩენილი ნაწილის გამოსყიდვა შევთავაზე. გამბერიამ პირობა დადო რომ, ჯღარკავა მას უკან დააბრუნებდა, თუმცა დაპირება დაპირებადვე დარჩა. ამიტომაც საქართველოს საგამოძიებო სამსახურს თხოვნით მივმართავ, ობიექტურად ჩაატარონ გამოძიება და სიმართლე გაარკვიონ“ – განაცხადა თურქმა ბიზნესმენმა.

ნიუსპრესი

„მალე დავასახელებ იმ დეპუტატებს, რომლებიც აგვისტოს ომის დროს გაიქცნენ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლევიზიით გამოაცხადა, თითქოს ცხინვალიდან ოსი მოსახლეობა რომ გამოსულიყო ჩვენ მხარეს და ერთი კაცი არ გამოსულა.

– ნოდარ ნათაძემ მითხრა, მე მაქვს ინფორმაცია, იმ ოთხი საათის განმავლობაში როკის გვირაბში პრობლემა მოგვარდაო. განათება იყო დაზიანებული, რუსები ვერ შემოდიოდნენ და იმ ოთხი საათში გააკეთესო.

– მე ნათაძეს დიდ პატივს ვცემ, წინა ომების დროს იქ იყო ჩამოსული, ბევრჯერ სანგარში ერთად ვყოფილვართ, მაგრამ რუსის ჯარი საკმარისი რაოდენობით შემოსული იყო, სულაც რომ არ შემოსულიყო. 7-8 აგვისტოს როკის გვირაბიდან რუსის ჯარი რომ არ შემოსულიყო, ადრე შემოყვანილი ჯარი საკმარისი იყო.

– ეს გასაგებია, მაგრამ, თუკი მართლა იმიტომ შეაჩერა სააკაშვილმა 4 საათით ბრძოლა, რომ როკის გვირაბით რუსის ჯარის შემოსვლა ფერხდებოდა, ეს ცალკე გამოსაძიებელი საკითხია.

– კი, ბატონო, გამოსაძიებელია. ყარყარაშვილს თავის წიგნში კარგად უწერია. 8-9 აგვისტოს ყარყარაშვილი კირწნისში იყო ამოსული.

– როკის გვირაბი რომ გადაკეტილიყო, წინასწარ რაღაც ზომები რომ მიეღოთ და პარტიზანული ბრძოლებით მათი ადრე შემოტანილი ტექნიკა რომ გაენადგურებინათ ანუ თავდადებით რომ გვებრძოლა, ვერაფერს მივაღწევდით?

– 9 წელი დეპუტატი ვიყავი. დეპუტატებთან და ამ საკითხზე მაღალჩინოსნებთან სულ მუდამ კამათი მქონდა. ვეუბნებოდი ხოლმე, თუ რაღაცას აპირებთ, რაღაცის დაწყებას, დაიწყეთ ზამთარში, რადგან ზამთარში იქ ზვავები ჩამოდის და ბრძოლა ადვილი იქნება-მეთქი. ამაზე ელიტური დეპუტატები მასხრად მიგდებდნენ ხოლმე, ჩვენ 24 საათში როკის გვირაბს გავაკონტროლებთო. ეს ამბავი რომ მოხდა, 11 აგვისტოს ჩამოვედი და პარლამენტში მივედი, ზოგიერთ დეპუტატს ვაგინე. რომ ამბობდით, როკის გვირაბს 24 საათში გავაკონტროლებთო, რატომ არ გააკონტროლეთ-მეთქი. რა მითხრეს, იცით? ჩვენი იღბალი, როკის გვირაბი რომ არ გავაკონტროლეთო.

– რატომ?

– როკის გვირაბი რომ 24 საათში გაგვეკონტროლებინა, დასავლეთიდან – სამეგრელოდან შემოვიდოდნენ და მთელ საქართველოს დავკარგავდითო. ის დეპუტატები ახლა ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობენ.

– ვინ არიან ის დეპუტატები?

– მათ გვარებს მერე გეტყვით. რასაც ვამბობ, ყველაფერზე პასუხისმგებელი ვარ. ერთ ამბავსაც მოგიყვებით. ყველა დეპუტატი ხომ მცნობდა 8 და 9 აგვისტოს ჩემი ტელეფონი იყო გაწითლებული. ზოგი ბათუმიდან მირეკავდა, ზოგი – წითელი ხიდიდან, რა ხდება, შემოვიდნენ თუ არაო.

– ბათუმიდან და წითელი ხიდიდან ვინ გირეკავდნენ?

– გეტყვით, გეტყვით მათ გვარებსაც. როცა დრო მოვა, მათ გვარებსაც ვიტყვი. ერთადერთი, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი მირეკავდა, საბრძოლველად უნდოდა ჩვენთან შემოსვლა. 8 აგვისტოს საღამოს დამირეკა, ბატებივით დავდივართ გორში (რეზერვში იყო). იქნებ ამოვიდე ხეობაში და თქვენ გვერდით ვიბრძოლოო. ვუპასუხე, ჩვენც გამოსაქცევად გვაქვს საქმე, ჯარი გამოიქცა და შენ სად უნდა ამოხვიდე-მეთქი. ერთი კაცური კაცი ეგ იყო, მაგან დამირეკა, ხეობაში შემოვალ საბრძოლველადო.

– ბათუმსა და წითელი ხიდისკენ გაქცეული დეპუტატების გვარებია საინტერესო.

– ყველა დეპუტატი მირეკავდა. თვითონ ძალიან კარგად იციან.

– ნაციონალური მოძრაობის წევრები, ხომ?

– ისინიც იყვნენ და უპარტიოებიც.

– მე ვიცოდი, რომ თქვენ დიდ ინფორმაციას ფლობდით და არ მეუბნებოდით.

– ამომივიდა ყელში, ისეთი ხალხი გვევლინება ექსპერტად და ისეთ ხალხს ნათლავენ გმირებად, რომლებსაც ერთ ბატს არ ვაბარებდი, ისეთი ხალხი იყო.

– ე.ი. რომ გვებრძოლა, რუსების შეჩერება შეიძლებოდა?

– წესიერი სარდლობა რომ გვყოლოდა. ოფიცერთა შემადგენლობა წესიერი რომ ყოფილიყო, ერთი კვირაც გავძლებდით, ორი კვირაც და იმ ხეობებს მაინც შევინარჩუნებდით, რომელ ხეობებსაც ჩვენ წლების განმავლობაში ვაკონტროლებდით. რუსის კარსა და ავიაციას ბოლომდე ვერ გავანადგურებდით, მაგრამ, სანამ ხელშეკრულება დაიდებოდა, სანამ ცეცხლი შეწყდებოდა, მანამდე იმას მაინც შევინარჩუნებდით, რასაც წლების განმავლობაში ვაკონტროლებდით. ხომ გითხარით, 2004 წელს ოქრუაშვილი რომ იყო, არაფერი დაგვიკარგავს.

– ყოველ შემთხვევაში, თავდაცვითი ბრძოლები რომ გვეწარმოებინა, აქეთ შემოტევის მიზეზი აღარ ექნებოდათ.

– არ შეიძლებოდა, პარტიზანული ბრძოლები დაგვეწყო? უახლესი იარაღი გვქონდა და ყველანაირი პირობა იყო ამისთვის, მაგრამ ვერ ვიბრძოლეთ. თუმცა, მე ჯარისკაცებს ძალიან დიდ მადლობას გადავუხდი. ძალიან ბევრი შინაურიც დამეღუპა, ბევრმა ვაჟკაცურად იბრძოლა, ოფიცერთა შემადგენლობის 90% კი დეზერტირი იყო.

დავით ლილუაშვილი: „ნაციონალებმა მოსამართლეები სრული მორჩილების მიხედვით შეარჩიეს“

შორენა კოწოწაშვილი

უფლებადამცველი დავით ლილუაშვილი, აფასებს რა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას, კოტე კუბლაშვილისა და მისი მოსამართლეების გადაწყვეტილებას სამარცხვინოსა და ქვეყნისთვის დამღუპველს უწოდებს. ლილუაშვილი დარწმუნებულია, რომ ის, რაც სასამართლო ხელისუფლებაში ხდება, „ქართული ოცნებისადმი“ საზოგადოების უკმაყოფილებას გაზრდის.

ვის ხელში რჩება სასამართლო ხელისუფლება, იკვეთება თუ არა გარიგება და უბიძგებს თუ არა სამართლიანობის აღდგენის პროცესის გამოკვეთილი ტენდენცია და პოლიტიკური გადაწყვეტილებები პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთ, თავად აღადგინონ სამართალი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელ დავით ლილუაშვილთან.

– ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესს? მართლაც სასამართლოს დამოუკიდებლობა გამოკვეთა იმან, რაც მოსამართლეთა მე-10 კონფერენციაზე მოხდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევნებისას?

– სასამართლო ხელისუფლება კვლავ დარჩა „ნაციონალური მოძრაობის“ გავლენის ქვეშ და ეს დადასტურდა 9 და 16 ივნისს „მოსამართლეთა მე-10 (რიგგარეშე) კონფერენციაზე“ განვითარებული მოვლენებით და მიღებული კატასტროფული შედეგებით. ფაქტია, მრავალი წლის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ხელდასხმულმა მოსამართლეთა უმრავლესობამ, რომლებიც პირადი ერთგულებითა და მონური მორჩილებით ჰყავდა შერჩეული სააკაშვილის რეჟიმს, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც სამარცხვინო და დამღუპველია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს კვლავ ეყოლება პოლიტიზებული და „ნაციონალური მოძრაობისგან“ გახრწნილი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება დემოკრატიულ პრინციპებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა ეს არც მოსამართლეთა უმრავლესობას და არც „ნაცებს“ არ აღელვებთ. მათთვის ხომ ავადმყოფური ამბიციები და მერკანტილური ინტერესებია მთავარი და არა სახელმწიფო ინტერესები. აქედან გამომდინარე, რა სასამართლო დამოუკიდებლობაზეა საუბარი, მოსამართლეთა თავყრილობისას განვითარებული მოვლენებიც ამის ნათელი მაგალითია. მოსამართლეთა კორპუსი გაყოფილია ორ ნაწილად. ერთი ნაწილი კუბლაშვილის მომხრე უმრავლესობაა, რომელიც მხარს უჭერს მის კურსს და აღნიშნულით სასამართლო სისტემის ძველი მეთოდებით მართვასა და მუშაობას, მე მათ რეტროგრადებს ვუწოდებ, თუმცა არის მეორე ნაწილიც, უმნიშვნელო უმცირესობა, რომლებიც ნამდვილად არიან რეფორმატორები. ისინი ითხოვენ სასამართლო ხელისუფლების განვითარებას, „მოსამართლეთა კონფერენციის“, როგორც თვითმმართველი ორგანოს თავისუფლებასა და „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს“, როგორც სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელი თუ მაკონტროლებელი ორგანოს დამოუკიდებლობას.

– თქვენ დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდით მოსამართლეთა კონფერენციას. ჩანდა, რომ მოსამართლეები პოლიტიკური ინტერესებიდან თავისუფლები იყვნენ?

– დიახ, მე ვესწრებოდი 9 ივნისს ჩატარებულ „მოსამართლეთა კონფერენციას“, სადაც აშკარად ჩანდა, თუ როგორ იბრძოდა ზოგი კარგად ცნობილი და ზოგიც ნაკლებად ცნობილი ოდიოზი მოსამართლე თვითგადარჩენისათვის. რაც მე იქ ვნახე, საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამ ეშმაკთა ლეგიონის მიმართ საკმაოდ კრიტიკული და აპათიური განწყობა გამჩენოდა, იქ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე. აღარ მქონდა სურვილი, დავსწრებოდი 16 ივნისის ღონისძიებას. „მოსამართლეთა კონფერენციაზე“ კუბლაშვილმა იგნორირება გაუკეთა მოსამართლეთა ერთი ნაწილის მიერ წამოყენებულ ყველა სამართლიან მოთხოვნას და პროცედურები ჩაატარა მთელი რიგი დარღვევებით, რაშიც მხარს უჭერდა და პოზიციებს უმაგრებდა მოსამართლეთა უმრავლესობა. კუბლაშვილის პოზიციებს აქტიურად იცავდნენ ის ჯალათი მოსამართლეები, რომლებმაც თავი „ისახელეს“ არაერთი გახმაურებული უსამართლო განაჩენით. უნდა აღინიშნოს, რომ 9 ივნისის სხდომის ოქმის გასაჩივრებას აპირებენ ის მოსამართლეები, რომლებიც აფიქსირებდნენ მრავალ დარღვევას, რომლებსაც მიზანმიმართულად ახორციელებდა კუბლაშვილი.

– კოტე კუბლაშვილის თქმით, მოქმედმა მოსამართლეებმა, რომლებიც წინა ხელისუფლების მონა-მოსამართლეთა და ნოტარიუსების სახელით იყვნენ საზოგადოებაში ცნობილი, დაამტკიცეს, რომ ისინი გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლები არიან. მართალს ამბობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე?

– კუბლაშვილის ეს განცხადება არასერიოზული და ალოგიკურია და ეს თვითონაც კარგად იცის. მრავალი წლის მანძილზე ინკვიზიციად ქცეული სასამართლო, რომელიც მართლმსაჯულების სახელით ათასობით ადამიანს აუბედურებდა, შეიძლება, დამოუკიდებელი იყოს?! როგორი დამოუკიდებელი იყვნენ მოსამართლეები სააკაშვილის რეჟიმის დროს, ეს კარგად ჩანდა მათ არასამართლიან გადაწყვეტილებში. სწორედ კუბლაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მოსამართლეებმა გამოიტანეს მრავალი პოლიტიკური განაჩენი, რის შედეგადაც ქვეყანას ჰყავდა ასობით პოლიტპატიმარი და ათასობით უკანონო პატიმარი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „მოსამართლეთა კონფერენციაზე“ განვითარებულმა მოვლენებმა და შედეგებმა კარგად დაგვანახვა, თუ როგორი „დამოუკიდებელი“ მოსამართლეები ჰყავს დღეს სასამართლო სისტემას. ისე, სხვას რას ველოდით მოსამართლეებისგან, რომლებიც თავის დროზე სრული მორჩილებისა და ერთგულების მიხედვით შეარჩია ნაციონალურმა მოძრაობამ?!

– კუბლაშვილისგან განსხვავებით, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე, აფასებს რა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნებსა და სამართლიანობის აღდგენის პროცესს, ფიქრობს, რომ ეს პროცესი ადამიანებს უბიძგებს, იარაღს მოჰკიდონ ხელი და სამართალი თვითონ გააჩინონ. ასეა?

– საზოგადოებაში უკმაყოფილობის განცდა დღითიდღე მატულობს. მე ძალადობის მომხრე ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, როცა მოსახლეობას არ რჩება დემოკრატიული და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საშუალება, როცა მოქალაქე სახელმწიფოში ცივილიზებული წესით ვერ იპოვის სამართალს და ვერ აღიდგენს შელახულ უფლებებს, მერე, სამწუხაროდ, რადიკალიზმი არ არის გამორიცხული.

– როგორ ფიქრობთ, სასამართლო ხელისუფლების დღევანდელი შედეგი მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების გარიგების შედეგია? საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდება იმის გამო, რომ სასამართლო სისტემა ისევ ნაციონალების კონტროლქვეშ დარჩა.

– მოტივს რა მნიშვნელობა აქვს, სახეზეა სამარცხვინო და საზოგადოებისათვის მიუღებელი შედეგი, თუმცა ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ძველი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა სამმა წევრმა (პარლამენტარებმა) ქუცნაშვილმა, შავგულიძემ და ხმალაძემ „მოსამართლეთა კონფერენციას“ შესთავაზეს „საერთო სასამართლოების შესახებ კანონით“ დადგენილი რეგლამენტით მუშაობა, მაგრამ კუბლაშვილმა კანონის საკუთარი ინტერპრეტაციით და მოსამართლეთა უმრავლესობის მხარდაჭერით გააკეთა ის, რაც უნდოდა და როგორც უნდოდა. ვფიქრობ, ის შედეგი, რომელიც დადგა, ივანიშვილის მთავრობის მიერ წინა ხელისუფლებასთან გარიგებების გამო კი არა, ამ მოცემულობაში სასამართლო სისტემაში საჭირო ცვლილებებისათვის აუცილებელი ბერკეტების არქონაშია. ფაქტია, სასამართლოს კვლავ თავზე აზის კუბლაშვილისა და სააკაშვილის ტანდემი, ისინი ხელიდან არასდროს გაუშვებენ შესაძლებლობას, რომ ახალ ხელისუფლებაზე ზეწოლის მექანიზმი ჰქონდეთ.

– დაბოლოს, ვისაუბროთ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენ კომისიასა და მის გადაწყვეტილებებზე, რომელსაც უსამართლოდ მსჯავრდებულთა დიდი ამალა ელის. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და რიგი უფლებადამცველები თვლიან, რომ ეს კომისია მოსამართლეთა დამსჯელი ორგანო არ უნდა იყოს ანუ ახალი გადაწყვეტილებებით არ უნდა მოხდეს იმ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის დაყენება, რომლებმაც ადამიანები წამების ტოლფას მდგომარეობაში წლების მანძილზე უკანონოდ ამყოფეს, ზოგ ადამიანს კი უკანონოდ 15-25-წლიანი განაჩენები გამოუტანეს და სამშობლოს მოღალატის იარლიყი დაუკანონეს.

– მას შემდეგ, რაც მართლმსაჯულების სახელით სააკაშვილმა და „ნაცებმა“ უამრავი უსამართლობა ჩაიდინეს, აუცილებელია სამართლებრივ სისტემაში განხორციელდეს რეფორმატორული და ნოვატორული ინიციატივები, მათ შორის ასეთად მოიაზრება „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი კომისიის“ შექმნაც. ამ კომისიის შექმნა უახლოეს ხანში ვენეციის კომისიის მიერ იქნება მხარდაჭერილი და მას რეჟიმის მიერ დაზარალებულთა არმია ელის. უახლოეს ხანში ეს კომისია დაიწყებს აღნიშნული დროებითი სახელმწიფო ინსტიტუციის ფორმატში ფუნქციონირებას. როგორც ჩემთვის ცნობილია, ის ინდივიდუალურად შეისწავლის პრობლემურ სისხლის სამართლის საქმეებს და შემდეგ მიიღებს რეკომენდაციებს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის. თუმცა, მე ვსვამ კრიტიკულ და, თუ გინდათ, რადიკალურ კითხვას: იმ მოსამართლეებმა, ვინც წინასწარი განზრახვით ჩაიდინეს დანაშაული და უდანაშაულო ადამიანები თავიანთი ვერდიქტით გამოკეტეს სააკაშვილის რეჟიმის ავადსახსენებელ პენიტენციურ სისტემაში, მათ ვინ და როგორ უნდა აგებინოს პასუხი ამ დიდი დანაშაულისათვის?! გასაგებია უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კუბლაშვილის პოზიცია, თუ რატომ არ ეთანხმება უსამართლო გადაწყვეტილებების გამომტანი მოსამართლეების სამართლებრივ დასჯას. თუ ამგვარი რამ მოხდება, მაშინ, პირველ რიგში, კუბლაშვილი იქნება დასასჯელი, ვინაიდან მისი ხელმძღვანელობის პერიოდში იღებდნენ ეს მოსამართლეები უკანონო განაჩენებს. ვერ გავიგე, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კუბლაშვილისა და საბჭოს მდივნის ლევან მურუსიძის ლოგიკა, ასეთმა მოსამართლეებმა რატომ არ უნდა აგონ პასუხი? რა, მათ კუბლაშვილმა და მურუსიძემ მათდამი მხარდაჭერის ნაცვლად ხელშეუხებლობის გარანტია და ინდულგენცია მისცეს?! ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „მოსამართლეთა კონფერენციამ“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად ლევან მურუსიძის სახით აირჩია თანამდებობის ისეთი პირი, რომელიც, კუბლაშვილის მსგავსად, წინააღმდეგია, რომ შეიქმნას „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია“.

– რამდენად თვალშისაცემია საზოგადოებაში, რომ უკმაყოფილება იზრდება სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაჭიანურებისა და იმ მოსამართლეთა და პროკურორების თანამდებობებზე დარჩენა-დწინაურების გამო, რომელთაც პოლიტიკური დაკვეთა შეასრულეს და უსამართლო განაჩენები დაადგინეს?

– თუ ხელისუფლება კვლავ გააგრძელებს ჟღურტულს კოაბიტაციასა და პოლიტიკურ ჰარმონიაზე, ვფიქრობ, უახლოეს ხანში გამოჩნდება საზოგადოების უკმაყოფილო რეაქცია, ხალხს „ნაციონალებზე“ და მისგან მართულ სახელმწიფო ინსტიტუტებზე არანაკლები აგრესია ექნება ახალი ხელისუფლების მიმართ. თქვე დალოცვილებო, თუ არ გაქვთ ნება და ძალაუფლება, მართოთ ქვეყანა და სააკაშვილის რეჟიმისგან დაჩაგრული ხალხის უფლებები აღადგინოთ, ხომ არ ჯობია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე დაფიქრდეთ.

შსს-მ ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1959 წელს დაბადებული ტარიელ ფ. კანონიერი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ტარიელ ფ. არის ე.წ. „კანონიერი ქურდი“ და აღიარებს ქურდულ სამყაროს. იგი ქურდული სამყაროს სასარგებლოდ აწყობდა ქურდულ გარჩევებს, იღებდა ე. წ. ქურდულ გადაწყვეტილებებს, მითითებებს აძლევდა ქურდული სამყაროს სხვა წევრებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პირებს. დადგენილია, რომ ბრალდებული ამ სახით მონაწილეობდა ქურდული სამყაროს მართვასა და ორგანიზებაში.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულს კავშირი ჰქონდა ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა პირებთან.

სამართალდამცველებმა ტარიელ ფ. ბრალდებულის სახით, თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დააკავეს, სადაც ის მკურნალობის კურსს ბადრაგების ზედამხედველობის ქვეშ აგრძელებს.

გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე სსსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

პოლიციამ ბანკზე ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე „პრივატ ბანკ“-ზე ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული, 1993 წელს დაბადებული პაატა კ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებული 10 ივნისს, დღის 12:30 საათზე, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე „პრივატ ბანკში“ თანამშრომელს იარაღით თავს დაესხა და ფული მოსთხოვა. ბანკის თანამშრომელმა თავდამსხმელს წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგადაც პაატა კ-მ ბანკიდან ფულის წაღება ვეღარ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობაში ბრალდებული პირი თბილისში, მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე სსსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

დავით უსუფაშვილი: „არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გამოძიების კვალი ყოფილ მაღალჩინოსნებამდე მიგვიყვანს“

ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ევროპის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ელმარ ბროკს შეხვდა.

„საქართველოში დღეს საინტერესო ცხოვრება გვაქვს, 7-8 თვეა რაც ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა, თუმცა პოლიტიკური ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის სტაბილური. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალ რეფორმებზე, რათა ქვეყანა ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდეს. პარლამენტი მზადაა მიიღოს წინადადებები, შენიშვნები და რეკომენდაციები, რათა ქართული კანონმდელობა დაიხვეწოს“ – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ისაუბრა ახალი შრომის კოდექსისა და პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს დადების ალბათობის შესახებაც. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს და ზოგადად ოპოზიციას, დავით უსუფაშვილის თქმით, ახალი ხელისუფლება კარგად აცნობიერებს იმ რეალობას, რაც დღეს ქვეყანაში არსებობს.

„ყველა მნიშვნელოვან თანამდებობას, 9 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იკავებდნენ, უამრავი საქმეა გამოსაძიებელი და არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ გამოძიებას ყოფილ მაღალჩინოსნებამდე მივყავართ. პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა არაერთხელ მიმართა ევროპელ მეგობრებს, რომ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების მონიტორინგი გაეწიათ. შედეგად, საქართველოში ჩამოვიდა ბატონი ჰამერბერგი. ჩვენ მზად ვართ კითხვებს ვუპასუხოთ და განვმარტოთ თითოეული ნაბიჯი“ – განაცხადა დავით უსუფაშვილმა ელმარ ბროკთან საუბრისას და იმედი გამოთქვა, რომ ევროპელი კოლეგები მიუკერძოებელ და საქართველოს მომავალი განვითარებისათვის სასიკეთო შეფასებებს გააკეთებენ.

ნიუსპრესი

ქრთამის აღების ფაქტზე დმანისის გამგებლის მოადგილე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე არიფ სულეიმანოვი და დმანისის საკრებულოს წევრი ზურაბ აკოფაშვილი დააკავეს.

საგამოძიებო სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ 5 000 ლარის ოდენობის ქრთამის სანაცვლოდ, დაკავებულებმა, სახელმწიფოს კუთვნილი 200 ჰა მიწის ნაკვეთი, ერთ-ერთ მოქალაქეს სარგებლობაში გადასცეს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული 7– დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

„ჩხარტიშვილმა პატარკაციშვილის მითვისებული ქონება უკან უნდა დააბრუნოს!“

რა პასუხი აქვთ ჩხარტიშვილის ადვოკატებს

შორენა გონგლაძე

ვანო ჩხარტიშვილის გარშემო მედიაში შავი პიარკამპანია აგორდა. ვანო ჩხარტიშვილსა და ინა გუდავაძეს შორის არსებული დავა ამ დღეებში დაინტერესებული ძალებისა და მედიის არაჯანსაღი აჟიოტაჟის საფუძველი გახდა. გავრცელებული დოკუმენტები დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, რითიც პროკურატურა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს, – ეს განცხადება ჩხარტიშვილის ადვოკატმა, დიმიტრი გაბუნიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. პრესკონფერენციას ჩხარტიშვილის უცხოელი ადვოკატი ჯოელ ადლერი და პაატა სალიაც ესწრებოდნენ. გაბუნიას განცხადებით, ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართავს, რათა მათ პირად და საქმიან ცხოვრებაში ჩარევისა და შანტაჟის მცდელობა აღკვეთონ. მისივე თქმით, ეს მასალები პირდაპირ კავშირშია ახლა მიმდინარე საინფორმაციო კამპანიასთან, რადგან სწორედ ანონიმი ავტორის მიერ გავრცელებული დიდი ბრიტანეთის პასპორტი გამოყენებულია ვანო ჩხარტიშვილის დისკრედიტაციისა და მასზე ყალბი ინფორმაციის გავრცელებისათვის.

– გავრცელებული დოკუმენტები ვანო ჩხარტიშვილის პირადი კომპიუტერიდან წინა ხელისუფლების სპეცსამსახურების მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების ნაწილია და ამ მასალებზე დაყრდნობით ფალსიფიცირებული დოკუმენტების გამოყენებით სააკაშვილის რეჟიმმა ერთხელ უკვე სცადა ვანო ჩხარტიშვილის დაშანტაჟება და დემოკრატიული ძალების მხარდაჭერისგან მისი ჩამოცილება, – განაცხადა გაბუნიამ. მისსივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გაუჭირდება იმის დადგენა, თუ საიდან აღმოჩნდა ეს მასალები მავნე ანონიმის ხელში, რადგანაც ძალიან ვიწროა წრე იმ ადამიანებისა, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ამ მასალებზე, ასევე სირთულეს არ წარმოადგენს ანონიმი ავტორის პიროვნების დადგენა.

– ხვალ შეგვაქვს განცხადება პროკურატურაში და მოვითხოვთ იმ პირის დადგენას, რომელიც ამ დრომდე ინკოგნიტოდ რჩება და ამბობს, რომ კიდევ სხვა ინფორმაცია აქვს. მათ შორის გარკვეული ნაწილი მედიაში უკვე გამოქვეყნდა. კერძოდ ის, რომ თითქოს ვანო ჩხარტიშვილი მე, ირაკლი კორძაიას და ასევე სხვა პირებს წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ პიარისთვის ხელფასს გვიხდიდა. ეს არის პირადი და კომერციული საიდუმლოების დარღვევა, რომელიც შანტაჟის გზით იქნა გამოყენებული. ჩვენ ვადასტურებთ, რომ ამ მოლაპარაკებებში ჩართულნი იყვნენ ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს წარმოადგენდა და ასევე გოგა ხაინდრავა. ამ გვარებს შემთხვევით არ ვახსენებ, რადგან ამ ყველაფრის შემდეგ ჩხარტიშვილის აზრით, ყველა ეს მონაწილე პირები, სამწუხაროდ, ჩართულნი არიან გარკვეულ კამპანიაში. ამაზე მეტს ამ თემასთან დაკავშირებით ვერაფერს ვიტყვი. გამოძიებისთვის საინტერესო მასალები გაგვაჩნია, თუ რა ფორმით აპირებს პატარკაციშვილის ოჯახი ჩხარტიშვილის დაშანტაჟებას მედიისა და საჯარო შავი პიარის გამოყენებით, – განაცხადა გაბუნიამ.

ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატები საზოგადოებაში გავრცელებულ იმ ინფორმაციასაც გამოეხმაურნენ, რომლის თანახმადაც, ვანო ჩხარტიშვილის მიმართ სამ ეპიზოდზე განახლებულია გამოძიება.

ადვოკატები აცხადებენ, რომ ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არავის უცნობებია, რადგან დღევანდელი კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, თუმცა მიიჩნევენ, რომ რადგან ვანო ჩხარტიშვილის მიმართ გამოძიებამ ყველა ეპიზოდზე შეწყვიტა დევნა, ამ საქმეების თავიდან გამოძიება კანონმდებლობით დაუშვებელია.

– ამ დავასთან დაკავშირებით ჩვენ მუდმივად ვაყენებდით საზოგადოებას საქმის კურსში და ამჯერადაც ასე მოვიქცევით. ვანო ჩხარტიშვილის მიმართ, ინა გუდავაძის მხრიდან პრეტენზია პირველად გასული წლის თებერვალში დაფიქსირდა. ბატონმა ვანომ მაშინვე შესთავაზა ქალბატონ ინას მსოფლიოში აღიარებული ხუთი საუკეთესო აუდიტორი კომპანიიდან აერჩია ერთერთი, რომელიც მისი და ბადრი პატარკაციშვილის საქმიანი ურთიერთობების ყველა ნიუანსს შეისწავლიდა. ბატონი ვანო მზად იყო დაეთმო ნებისმიერი აქტივი, რომელზეც დასაბუთებული პრეტენზია გაჩნდებოდა. ის საკუთარ თავზე იღებდა ფირმის მომსახურების ხარჯებს, მაგრამ წინა ხელისუფლების ზეწოლის გამო ეს შეთანხმება არ შედგა და ინა გუდავაძის ინიციატივით დავამ საერთაშორისო სასამართლოში გადაინაცვლა. ბრიტანეთის სასამართლომ გასულ წელს უსაფუძვლოდ ცნო ინა გუდავაძის მოთხოვნები და მას ვანო ჩხარტიშვილის სასარგებლოდ სოლიდური თანხა დააკისრა. ამის შემდეგ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინა გუდავაძემ რატომღაც იმ რეჟიმის პროკურატურას სთხოვა სიმართლის დადგენა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლე შეიწირა. 2012 წლის ივნისში მან საჩივარი შეიტანა სააკაშვილის პროკურატურაში. კიდევ ერთხელ ვაკონკრეტებ, 2012 წლის ივნისში და არა 2013 წლის დეკემბერში, როგორც ამას არცთუ შეუგნებლად აღნიშნავენ ჩვენი ოპონენტები. 2013 წლის იანვარში ახალმა პროკურატურამ გუდავაძეს 9-ვე ეპიზოდთან დაკავშირებით საკითხის განხილვაზე უარი უთხრა, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, – აცხადებს გაბუნია, მისსივე თქმით, შეიძლება გამოითქვას საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამის უკან, ისევე, როგორც 2012 წლის ივნისში, გარკვეული პირების დაპირება დგას, სხვაგვარად გაუგებარია, რატომ უნდა ეძებო დამატებითი სამართალი ჯერ კიდევ დაულაგებელ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, როცა აღნიშნული საკითხისა და ეპიზოდების განხილვა დღესაც მსოფლიოში აღიარებული ბრიტანეთის ავტორიტეტულ სასამართლოში მიმდინარეობს თავად ინა გუდავაძის სარჩელის საფუძველზე.

– ასევე მინდა ვისაუბრო ჩვენი ოპონენტების მხრიდან გამიზნული სიცრუის ტირაჟირებს შემდეგ ფაქტებზე, კერძოდ, მათი მთავარი არგუმენტი, რომ ვანო ჩხარტიშვილმა აქტივები გაყიდა 2008 წელს, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა წყლის სიცრუეა. აქტივების ნაწილი პატარკაციშვილისგან შეძენილი იქნა 2006 წლის 16 აგვისტოს. 2008 წელს, პატარკაციშვილის აქტივები ვერანაირად ვერ გაიყიდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ყველა აქტივი ხელისუფლების მიერ იყო დაყადაღებული. 2008 წელს, ვანო ჩხარტიშვილზე დაწყებული ზეწოლის გასანეიტრალებლად, მოხდა მისივე და არა პატარკაციშვილის აქტივების გაყიდვა და არა მეპატრონის შეცვლა. აღნიშნული აქტივებიდან გადასახადებს ბიუჯეტში იხდიდა მისი მეპატრონე, ანუ ვანო ჩხარტიშვილი. აქტივების მეორე ნაწილი, რომელზეც არის პრეტენზიები, წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე, მათზე როგორ უნდა იყოს ვალდებული ჩხარტიშვილი, სრულიად გაუგებარია. მიუხედავად ამისა, არის თემები, რომლებიც გასარკვევია და ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი მოლაპარაკებების მაგიდასთან მათ მოგვარებაზე, – აცხადებს გაბუნია.

ადვოკატები გამოთქვამენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და ამომწურავი პასუხი გასცენ მათ მიმართ სამართალდამცავ ორგანოებისა და საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს. ბიზნესმენის ყოფილი პარტნიორის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს ინა გუდავაძეს კი მოუწოდებენ დარჩეს დავის სამართლებრივი მოგვარების ჩარჩოში და გაემიჯნოს აგორებული შავი პიარის კამპანიის დირიჟორებს.

ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატების გაკეთებულ განცხადებებს გუშინვე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ყველა შესაძლებლობა არსებობდა იმისათვის, რომ აღნიშნული საქმე კვლავ განახლებულიყო, ყველაფერი კანონის შესაბამისად ხდება.

– გვსურს, გამოვეხმაუროთ იმ განცხადებებს, რაც ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატებმა პრესკონფერენციაზე გააკეთეს. ჩხარტიშვილის ადვოკატების განმარტებით, მთავარ პროკურატურას არ ჰქონდა უფლება, ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ შეწყვეტილი საქმის წარმოება განეახლებინა. ამის საპასუხოდ გვინდა განვმარტოთ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილი იყო საქმის წარმოება განეახლებინა. ჩვენი აზრით, გამოძიების განახლება სწორედ ამ უფლების გამოყენებით მოხდა. ამასთან, ჩხარტიშვილის ადვოკატებმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე დაადასტურეს, რომ კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯია“ ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანიაა. მეორე მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებებით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ამ კომპანიაზე მოხდა პატარკაციშვილის კუთვნილი აქტივების მინიმალურ ფასად გადატანა. ეს ფოთის პორტის ორ ნავმისადგომს, ფოთის წისქვილკომბინატს, თბილისში მდებარე თამბაქოს ქარხანას, ასევე მიწის ნაკვეთებს ეხება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩხარტიშვილის წარმომადგენელთა მიერ დღევანდელ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ აქტივების გადატანა განპირობებული იყო სურვილით, გადაერჩინათ პატარკაციშვილის ქონება. ჩვენი შეფასებით, ეს არის პირდაპირი აღიარება, რომ ქონება ბადრი პატარკაციშვილის საკუთრება იყო და, შესაბამისად, ის მის ოჯახს და მემკვიდრეებს უპირობოდ უნდა დაუბრუნდეს, – ნათქვამია განცხადებაში.

რაც შეეხება განცხადებას, რომ აქტივების გადატანა ბადრი პატარკაციშვილის თანხმობით ხდებოდა, განცხადებაში აღნიშნულია, რომ:

– სწორედ იმიტომ, რომ არ გავცდეთ სამართლებრივ ჩარჩოებს, ბატონ ჩხარტიშვილს ვთხოვთ წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რომ აქტივების მის შვილებზე გადატანა მართლაც ბადრი პატარკაციშვილის თანხმობით ხდებოდა. რაც შეეხება ჩხარტიშვილის მიერ გამოთქმულ ბრალდებას მის წინააღმდეგ პიარკამპანიის წარმოების შესახებ, კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ, რომ ჩვენ მკაცრად მივყვებით სამართლებრივ პროცედურებს და მათ შესაბამისად წარმოვადგენთ ჩვენი პოზიციის დამადასტურებელ მტკიცებულებებს. ნაცვლად იმისა, რომ ამ მტკიცებულებებს პასუხი ასევე სამართლებრივ სივრცეში გაეცეს, სწორედ ჩხარტიშვილის მხარე ცდილობს პიარაქტივობებით ამ საკითხების გადაფარვა, მტკიცებულებებზე პასუხისგან თავის არიდება და მსჯელობის არასამართლებრივ სივრცეში გადატანა მოახდინოს, – ნათქვამია განცხადებაში.

გიგი უგულავა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გამორიცხავს

შორენა გონგლაძე

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა მოცემული მომენტისათვის საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაშია, მაინც აქტიურად ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და მაქსიმალური შედეგის დადებასაც აპირებს. საპარლამენტო ოპოზიცია საკუთარ ძალებში დარწმუნებულია. ნაციონალური მოძრაობა, საპრეზიდენტო კანდიდატის გამოვლენას პრაიმერის მეშვეობით აპირებს, ამის შესახებ გუშინ ნაციონალური მოძრაობის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა. მისი თქმით, პრაიმერის ჩატარება დასტური იქნება იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებით პარტიის ინფრასტრუქტურა, იდეოლოგია და ერთიანობა არ ჩამოშლილა და საწყისი გეგმა არ შეიცვლება. როგორც ბაქრაძემ განაცხადა, მათ მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება, ჩაატაროს პარტიული პრაიმერი, რომელიც ოქტომბრის არჩევნებისთვის პრეზიდენტობის იმ კანდიდატს გამოავლენს, ვინც საზოგადოებისთვის ღია და გასაგები გზით მოიპოვებს მხარდაჭერას. ბაქრაძე ამ ეტაპზე პრაიმერში მონაწილე კონკრეტული კანდიდატების დასახელებისგან თავს იკავებს. ბაქრაძის თქმით, მათი ვინაობა დაახლოებით ერთ კვირაში მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც მონაწილეობის მსურველები დარეგისტრირდებიან.

პრაიმერის ფარგლებში, რომელიც სავარაუდოდ ივნისის ბოლოს დაიწყება და ერთ თვეს გასტანს, რამდენიმე რეგიონული კონფერენცია ჩატარდება, რომლებიც კანდიდატებს შორის თემატური დებატების ფორმატში ჩაივლის და რის შედეგადაც მოხდება კენჭისყრა, რომელიც გამარჯვებულ კანდიდატს გამოავლენს, მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით ხმის მიცემის გზით.

– ჩვენი სურვილია, რომ ქართულ პოლიტიკაში დავამკვიდროთ ახალი სტანდარტი, სტანდარტი იმის, რომ პარტიული კანდიდატი აირჩევა არა ერთი ადამიანის სურვილის მიხედვით, როგორც ეს ხდება ზოგიერთი ჩვენი კონკურენტი პარტიის შემთხვევაში, არამედ აირჩევა ღია და გამჭვირვალე პროცესის შედეგად, – განაცხადა ბაქრაძემ.

თავდაპირველად პრაიმერის ჩატარების გეგმაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა აპრილში ისაუბრა, თუმცა მას შემდეგ, რაც ერთ თვეში პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი დააკავეს, პრაიმერის ჩატარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

– სწორედ იმის გამო, რომ გამოვავლინოთ და ვაჩვენოთ, რომ გენერალური მდივნის დაპატიმრება არ ნიშნავს პარტიის ინფრასტრუქტურის დანგრევას, არ ნიშნავს პარტიის ერთიანობის და მისი მორალის გატეხვას, როგორც ამის სურვილი და განზრახვა ჰქონდა ხელისუფლებას, სწორედ ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ არ შევცვალოთ საწყისი გეგმა და ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება მოხდება პარტიული პრაიმერის გზით, – განაცხადა ბაქრაძემ.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ პრაიმერში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს დედაქალაქის მერი გიგი უგულავა.

– საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ. შესაბამისად, არც პრაიმერში მივიღებ მონაწილეობას. მე ვთვლი, რომ უფრო მეტი საქმეა გასაკეთებელი, ქალაქში პრობლემებს რა დალევს. არის ახალი ინიციატივები და ახალი გეგმები, რომელიც შესასრულებელია. 1 წელია ადგილობრივ არჩევნებამდე დარჩენილი და მინდა, ჩემი თავი და საქმიანობა მივუძღვნა ქალაქს, ნაკლებად ვიყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში და მეტად საქალაქო ცხოვრებაში. ჩვენ გვინდა, პარტიამ დაამკვიდროს ეს სტილი, იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი თუ მერობის, ყველა მნიშვნელოვან პოსტზე პარტიამ კანდიდატი პრაიმერის წესით უნდა შეარჩიოს, რადგან პრაიმერი ნიშნავს, რომ მომხრე თავად ირჩევს ადამიანს, ვისაც შემდეგ გულით დაუჭერს მხარს, – განაცხადა უგულავამ.

მოქალაქე - ლაშა მელიქიას
პ/ნ - 42001005514

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 787640001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 787640001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 787640001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს “ბითიეი ბანკი“

მოქალაქე - გიორგი ხუციშვილს
პ/ნ - 01009018375

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 733230003
საკრედიტო ხელშეკრულება	N 733230003-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 733230003-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს “ბითიეი ბანკი“

რა სიურპრიზს შესთავაზებს დემოგრაფიის აღორძინების ფონდი საზოგადოებას?

მერი ნამორაძე

დემოგრაფიული აღორძინების ფონდი აქტიურ მოქმედებაზე გადადის და ქართველობის გადასარჩენად მობილიზებას საქველმოქმედო აქციითა და მასშტაბური პრეზენტაციით იწყებს. აქცია 23 ივნისს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართება და მონაწილეობას 40-ზე მეტი ქართველი მომღერალი მიიღებს. კონცერტი სამგანყოფილებიანი იქნება და 6 წამყვანი ეყოლება. ჩაერთვებიან ქართველი ემიგრანტები 5 ქვეყნიდან. აქცია-კონცერტზე გაჟღერდება ტკივილიანი თემები და უსიამოვნო ციფრებიც. აქციისათვის სიმღერა საგანგებოდ შექმნა რუსა მორჩილაძემ, ტექსტის ავტორი კი ირინე სანიკიძეა. სიმღერას 25 მომღერალი შეასრულებს, რომელთა ნაწილი გუშინ „რედისონში“ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე იმყოფებოდა.

ნანი ბრეგვაძე:

– მივესალმები იმას, რომ კულტურაც ჩაერთო ძალიან საპასუხისმგებლო პრობლემის მოგვარებაში. აუცილებელია, ყველამ მიიღოს მონაწილეობა, რადგან დიდი კატასტროფის წინაშე ვდგებით და ყოვლად მიუღებელია ქართველი ერის გადაშენება. თუ ჩვენ ოდნავ რაიმე წვლილს შევიტანთ, რომ გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა, მეც და სხვა მომღერლებიც, არა მარტო მომღერლები, კულტურის დანარჩენი წარმომადგენლები მზად ვართ.

გიორგი უშიკიშვილი:

– ვფიქრობ, პრობლემა საკმაოდ სერიოზულია, რომელიც საჭიროებს გარკვეულ მოძრაობას, რომ საკითხი მოგვარდეს. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ჩართვა იქნება სტიმული იმისა, რომ საზოგადოება დავარწმუნოთ პრობლემის არსებობაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ჩართულობა საინტერესოა. იმედი მაქვს, ჩვენი აქტიურობა საზოგადოებას დაარწმუნებს, რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემა ჩვენთვის.

თემურ წიკლაური:

– სიმღერით არ „კეთდება“ ბავშვები. ახალგაზრდებს უნდა უყვარდეთ თავისი ქვეყანა და სამშობლო. უყვარდეთ ერი და ის მიწა, სადაც ცხოვრობენ. უახალგაზრდებოდ და უხალხოდ ცარიელი მიწა არაფერი იქნება, არ იქნება საქართველო. ამიტომ უნდა გამრავლდნენ, მეტად უყვარდეთ თავისი ქვეყანა, ერი, თავისი ენა, მამული, სარწმუნოება, დროშად დაიყენონ წინ ილიას ეს სიტყვები და ყველაფერი რიგზე იქნება.

დემოგრაფიული აღორძინების ფონდის გეგმებზე „ახალი თაობა“ ფონდის გამგეობის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძეს ესაუბრა:

– ქალბატონო თამარ, აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება დიდ თანხებს უკავშირდება, რაც ჩვენისთანა ქვეყნისათვის ფუფუნებაა, როგორ აპირებთ მესამე შვილის წახალისებას ქვეყანაში?

– დიახ, მართალია. ეს კოლოსალურ თანხებს მოითხოვს. თავიდანვე გვქონდა დაანგარიშებული, თუ რას, როგორ და რანაირად შევძლებდით. დავიწყეთ იმ გარანტიით, რომ ამ პროგრამას აუცილებლად განვახორციელებთ. ჩვენ გვაქვს

გაგრძელება მე-8 გვერდზე

თემურ ნანეიშვილი: „ნაციონალები უმაღლეს სასწავლებლებზე კონტროლს კარგავენ“

შორენა კოწოწაშვილი

რამდენად თავისუფალია ნაციონალების პოლიტიკური ინტერესებიდან ის პროტესტი, რომელიც განათლების კანონთან მიმართებით ისმის და ობიექტურია თუ არა საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტის მდგომარეობა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის გარეშეც გამოსწორდება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული აკადემიის“ წევრ თემურ ნანეიშვილთან.

– ბატონო თემურ, რითი ახსნიდით იმ შეტევას, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ ახალ კანონს მოჰყვა და რომელიც საპარლამენტო უმცირესობის და გიგი თევზაძის გუნდის შეტევად აღიქმება?

– ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნილი მდგომარეობის და იმ პოზიციების დაკარგვა არ უნდათ, რაც ხელში უკანონობით ჩაიგდეს. ეს უკანონობა თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღიარა პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს. მან თქვა ასეთი რამ, კანონში არ იყო, მაგრამ ჩვენ ვაკეთებდითო ანუ თვითაღიარება მოახდინა მიხეილ სააკაშვილმა იმისა, რომ კანონის დარღვევით ახდენდა უნივერსიტეტის ავტონომიის შიგნით ჩარევას, კონკურსებში ჩარევას. ავთანდილ სილაგაძის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ბევრი რამ ნათელია. იქ მითითებულია, რომ პროკურატურა მუშაობს ამ საკითხებზე, რომ უნივერსიტეტში, მაგალითად, ეკონომიკის ფაკულტეტზე, გაყალბებულია კონკურსის შედეგები. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აკადემიური საბჭო არის ისეთი ადამიანების მიერ არჩეული, რომლებსაც ამომრჩევლის უფლება თვითონ გაყალბებით აქვთ მოპოვებული. აი, ამაშია საქმე. ასეთი საბჭო არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს ობიექტურ გადაწყვეტილებას. ივანე ჯავახიშვილი და პეტრე მელიქიშვილი რომ ააყენო, ასეთი საბჭო იმათ ვერ გაიყვანს კონკურსში. კანონში ეწერა, რომ უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება იყოს აკადემიური ხარისხის არმქონე. მაგრამ იქ ხომ არ ეწერა, ხარისხის მქონე არ შეიძლება აირჩიოო. როგორ შეიძლება, პროფესორმა, არჩეული საბჭოს წევრმა არ გაითვალისწინო, რომ ეს არის უნივერსიტეტი და უნივერსიტეტს უნდა ხელმძღვანელობდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც მეცნიერებაში სტატია დაუწერია და რომელმაც იცის განათლების ფასი.

– იქიდან გამომდინარე, რაც თქვენ თქვით, ვგულისხმობ, პრეზიდენტის აღიარებას, ფიქრობთ, რომ მხოლოდ პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ხდება იმ ჩანაწერზე თავდასხმა, რომელიც რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ეხება და რომელიც 6 თვით ინიშნება პრემიერის მიერ?

– რა თქმა უნდა. ეს არის სუფთა პოლიტიკური საბოტაჟი. მაინტერესებს ხოლმე, პარლამენტის სხდომებზე ძალიან მიზანმიმართულად ხდება თავდასხმები უმცირსობის მხრიდან. ფაქტია, არც ერთ პოზიციას არ თმობენ. იმიტომ, რომ იციან, ეს მათთვის დამღუპველია. თუმცა მათი პოზიციები უკვე შესუსტდა და ამას უნდა შეეგუონ. ახლა ფუძნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამას აფუძნებს ხელისუფლება. ხელისუფლების წარმომადგენელი არის ამ შემთხვევაში განათლების სამინისტრო. მაგრამ განათლების სამინისტრომ ეს პოზიცია დაუთმო უფრო მაღალ ინსტანციას ანუ პრემიერ-მინისტრს. არსებული კანონით პრემიერს უფლება აქვს, როდესაც ფუძნდება ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, გამოაცხადოს სრული რეორგანიზაცია. აი, ამ გარდამავალ ეტაპზე უნდა დაინიშნოს უნივერსიტეტის გარდაქმნის ხელმძღვანელი – რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი. ეს არის დროებითი პოზიცა. ამის შემდეგ უკვე იწყება, თუ სახელმწიფოს ნება არის და ეს ნება უნდა იყოს, სამოქალაქო საზოგადოება სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ შემუშავებულ იქნეს ისეთი თანმდევი კანონები, რომელიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სრულ ავტონომიას. იცით, როგორ არის?! ზოგიერთისგან გამიგონია, სრული ავტონომია შეუძლებელია იმიტომ, რომ ამას მაინც სახელმწიფო აფინანსებს. მით უმეტეს, დღევანდელ რეალობაში, 17 ფაკულტეტზე სწავლა უნდა იყოს უფასო. ე.ი. სახელმწიფო იხდის ამ სწავლების ფულს. ეს არ უნდა დაგვაყვედრონ, რადგან ეს არის ბიუჯეტის ფული ანუ ხალხის ფული. თუ ჩვენში სამოქალაქო საზოგადოება არსებობს, მაშინ მან უნდა მოითხოვოს, რომ ეს კეთილი ნება კი არ იყოს, არამედ დაკანონებულ იქნას, რომ მართალია, სახელმწიფო იხდის ამ თანხას, მაგრამ უნივერსიტეტის საქმეებში ის არ ერევა. არჩევნების დროს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში თავისუფალი ამომრჩეველი უნდა იყოს და მას არ უნდა ეშინოდეს. იმიტომ, რომ თუ ხმას მისცემს ისე, როგორც ვიღაცას უნდა, მას სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ეს კომპლექსი საბჭოს წევრებს მოცილებული უნდა ჰქონდეთ. ვიმეორებ, ეს არის დროებითი ჩარევა, რომელიც სიკეთის მეტს არაფერს მოიტანს. ამის შესახებ ძალიან კარგად იციან იმათ, ვინც კანონში ამ ჩანაწერს ეწინააღმდეგება. რამდენიმე დღის წინ უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადასტურა, რომ ეგენი სიკეთის გამკეთებლები არ არიან. როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება, რაც სანდრო კვიტაშვილის შემთხვევაში მოხდა – კაცმა დაწერა განცხადება და მაშინვე მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ პოზიციებს, რაც აქვთ, არ დათმობენ. რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობის იმ დეპუტატების განცხადებებს, ვინც კანონის ამ ჩანაწერს აკრიტიკებს, მე აბსოლუტურად არ მესმის მათი. რას ნიშნავს განცხადება, მდგომარეობა უნივერსიტეტში თავისით გამოსწორდება?!

– რესპუბლიკელების განცხადებებს გულისხმობთ განათლების კანონის შესახებ?

– სამწუხაროდ, მარტო რესპუბლიკელები არ არიან. ამ პოზიციაზე „თავისუფალი დემოკრატები“ არიან და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენლებიც. ჩემთვის ყველა ძალიან პატივსაცემი ადამიანია. მე მათ მხარს ვუჭერდი პოლიტიკურ ბრძოლაში და ეს ჩემთვის ძალიან დიდი დარტყმაა. როცა ამბობ, თავისით გამოსწორდება, მაშინ უნდა დამარწმუნო, საზოგადოება უნდა დაარწმუნონ. ის არგუმენტი, რომ თავისით გამოსწორდება, ეს არაფერში არ ჯდება. იმიტომ, რომ სავლე პავლედ ერთხელ გადაიქცა. არ მოხდება, რომ მთელი საბჭო უცებ გარდაიქმნება, გამოსწორდება და დაიწყებს ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებას. ამბობენ, ჯერ აირჩიონ, თუნდაც ცუდი იყოს და მერე გამოსწორდებაო. რას ლაპარაკობთ, თაობები იკარგება, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი?! როგორც შეიძლება, უნივერსიტეტში რაიმე თავისით გამოსწორდეს. ჩვენ ჭეშმარიტი დემოკრატიისგან ჯერ ძალიან შორს ვართ. ასე რომ, დრო და დრო სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ჩარევები შეიძლება აუცილებელი იყოს.

– განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით დამტკიცებული კანონი სტუდენტებმა გააპროტესტეს. ფიქრობთ, რომ ისინი ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს გამოხატავდნენ ამ აქციით?

– იცით რა, ეს ახალგაზრდები დაარწმუნეს, რომ უნივერსიტეტის სიპ-ად ანუ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნა გამოიწვევს ათას უბედურებას. ათასი რაღაც მოაბეს ამას, რასაც ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს. ეს ბავშვები სიცრუეში დაარწმენეს. ეს არის გარკვეული ნაწილი. მეორე ნაწილია – 12 000 ხელმოწერა იყო იმაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნას უნივერსიტეტი ანუ უფრო მაღალი სტატუსი მოიპოვოს. ამასაც ებრძოდნენ ეს ძალები და ის სტუდენტები ამის საწინააღმდეგოდაც გამოჰყავდათ. მე არ მინდა ამ ახალგაზრდებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ სანამ ნაბიჯს გადადგამენ, ჯერ უნდა კარგად გაერკვნენ ვითარებაში. სულ ხომ ამ მოჯადოვებულ წრეზე არ ვივლით და არ ვილაპარაკებთ, მდგომარეობა თავისით გამოსწორდება. როგორ შეიძლება ასე ლაპარაკი. თავისით როგორ გამოსწორდება?!

– ანუ ფიქრობთ, რომ უნივერსიტეტის რექტორი აუცილებლად აკადემიური ხარისხის უნდა იყოს?

– ამას უკვე აღარავინ უარყოფს. სამწუხარო ის არის, რომ როცა ის საკითხი გავიდა, რომ შეიძლება უნივერსიტეტის რექტორი აკადემიური ხარისხის არმქონე იყოს, მაშინ ამას მხარი დაუჭირეს. დღეს არის პრობლემა ის და მეც ვამბობ, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილად თუ ვიტყვით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს, ძალიან ცუდად ჟღერს. მაგრამ მაშინ შემომთავაზე რაიმე უკეთესი ალტერნატივა. დღეს საქართველოში და კერძოდ სახელმწიფო უნივერსიტეტში ისეთი მდგომარეობაა, რომ ნაციონალებს უნივერსიტეტს ხელიდან ვერაფრით გამოვგლეჯავთ. ეგენი ჩაბღაუჭებული არიან თავიანთ პოზიციებს და რექტორის არჩევნებთან და დანიშვნასთან მიმართებაში მუდმივად ეს პოზიცია ექნებათ. იმიტომ, რომ უნივერსიტეტში მთელი საკვანძო პოზიციები მოპოვებული აქვთ არასამართლიანად. ახლა პროკურატურა სწავლობს უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების კანონიერებას.

რა სიურპრიზს შესთავაზებს დემოგრაფიის აღორძინების ფონდი საზოგადოებას?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სიურპრიზი ქართველი ხალხისთვის, რომელსაც კონცერტიდან ერთი კვირის შემდეგ შემოგთავაზებთ და, როცა იმ ხალხს დაინახავს საზოგადოება, კითხვები მაშინვე გაქრება. როგორ შევძლებთ, ეს სიურპრიზად შემოვინახეთ, უბრალოდ, ახლა მთელი ყურადღება გადატანილი გვაქვს ამ გრანდიოზულ პრეზენტაციაზე, რომელიც იქნება ასევე საქველმოქმედო კონცერტი, მაგრამ ყველაზე მეტად ეს იქნება თემის პრეზენტაცია. კონცერტი გადაიცემა პირდაპირი ეთერში რამდენიმე ტელევიზიით. მობრძანდებიან უწმინდესი, პრემიერი, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოში აკრედიტებული ელჩები. ეს არ არის მხოლოდ საქველმოქმედო კონცერტი, ეს არის თემის პრეზენტაცია. რაც მთავარია, ამ დღეს გვერთვებიან უცხოეთის 5 ქვეყნიდან ქართველები – ბელგიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ირლანდიიდან და ამერიკიდან. ასე რომ, დიდია ჩართულობა. იცით, რომ ემიგრაცია ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა დემოგრაფიულ პრობლემებს შორის. ამიტომ ემიგრანტები თავად ისაუბრებენ რა პრობლემის წინაშე დგას ქვეყანა და რას გვპირდებიან. ასე რომ, დაინტერესება ძალიან დიდია და ვფიქრობთ, რომ საზოგადოების ინტერესს მწვავე კითხვებზე აუცილებლად დავაკმაყოფილებთ.

ფონდში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებლები და საპატიო თავმჯდომარე ჰყავს პირველი რანგის პოლიტიკოსები, პარლამენტარები, ზაქარია ქუცნაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე, ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს მის კონკრეტულ პროექტს. ასე რომ, გვაქვს იმედი, ყველა ქართველი ბიზნესმენი, ყველა ქველმოქმედი, ყველა მეწარმე ჩაერთვება ამ პროცესში და ერთად შევძლებთ საქართველოს ფიზიკური უწყვეტობის გადარჩენას.

– რა სახე ექნება თქვენს დახმარებას ოჯახებისთვის?

– ეს იქნება ფულადი დახმარება, ფინანსური დახმარება 2014 წლიდან ყოველ მესამე შვილზე. თუ რა თანხა გაიცემა, ამაზე ვმუშაობთ. გვინდა, რაც შეიძლება მეტი გავცეთ, მაგრამ გააჩნია, რა საშუალება ექნება ფონდს, მაგრამ დახმარება აუცილებლად იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაც არაერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენ განვახორციელებთ რეგიონულ პოლიტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა რეგიონს გავუკეთებთ კონკრეტულ პროგრამას, ბარში ეს შეიძლება იყოს 150 ლარი, მაღალმთიან რეგიონებში ეს იქნება 200 ლარი და საზღვრისპირა ზოლში ეს იქნება კიდევ უფრო მაღალი. ასე რომ. კონკრეტული პროგრამა გვექნება ყველა კონკრეტულ რეგიონზე. სადაც შობადობა დაბალია, შობადობის ამაღლებაზე ვიმუშავებთ, სადაც სხვა დემოგრაფიული პრობლემაა, იქ სხვა დემოგრაფიულ პრობლემებზე ვიმუშავებთ.

–ქალბატონო თამარ, მეორე შვილის ყოლაც წასახალისებელი გახდა საქართველოში!

– აბსოლუტურად გეთანხმებით! კატასტროფული მონაცემებია მეორე შვილის რაოდენობის მიხედვითაც. არათუ მესამე შვილს, მეორე შვილსაც აღარ აჩენენ უკვე საქართველოში. ესეც სერიოზული პრობლემაა, თუმცა ფონდს ამჟამად არა აქვს, დღევანდელი მონაცემებით, ის საშუალება, რომ მან მეორე შვილიც წაახალისოს, მაგრამ ეს პერსპექტივაში გვაქვს, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში.

– დემოგრაფთა ნაწილი ფიქრობს, რომ შვილთა ყოლის მოთხოვნილება მაღალი კლასის მოსწავლეთა ასაკში ყალიბდება და საგანმანათლებლო თუ პროპაგანდისტული საქმიანობა ამ დროს არის დასაწყები. მერე უკვე აზრი აღარ აქვს ფინანსების ხარჯვას, ფინანსური მდგომარეობა ზრდასრულ ადამიანებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილებას მაინცდამაინც აღარ ცვლის. თქვენი ფონდი თუ იმუშავებს საგანმანათლებლო კუთხით?

– აუცილებლად ვიმუშავებთ საგანმანათლებლო კუთხით. ეს იქნება, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის განათლების კუთხით რომ ჰქონდეთ შეღავათები. რაც შეეხება ფულად დახმარებას ბავშვის დაბადებისთანავე, ვიზიარებთ საერთაშორისო გამოცდილებას, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, მოსახლეობის ფონდთან, მათ აზრით, ერთადერთი ეფექტი ექნება მხოლოდ ფულად დახმარებას დასაწყისშივე.

– წლამდე გაგრძელდება ეს დახმარება?

– რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება. ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით. ფონდის პროგრამის პრეზენტაციას წარმოგიდგენთ მას შემდეგ, როცა სრულად წარმოგიდგენთ ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს. კონცერტის შემდეგ გაცნობებთ შემადგენლობას.

– კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მობილიზება ხომ არ გაგიჭირდათ?

– არა, კონცერტში მონაწილეობას 50-მდე ქართველი მომღერალი იღებს, ანსამბლებიც. ჩვენ მადლობას ვუხდით ყველას, ისინი ქველმოქმედებას ეწევიან ამ დღეს. საოცარი ენთუზიაზმი და ჩართულობაა. ჩვენ კონცერტი გადავდეთ, 15 ივნისს გვქონდა დაგეგმილი და ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების გამო გადავდეთ. ამის გამო რამდენიმე მომღერალი საქართველოში აღარ იქნება გასტროლების გამო, რომელსაც ვერ ჩაშლიან. ვწუხვართ, რომ ასეთი რამ მოხდა, მათ დიდი მადლობა, რომლებიც პირველივე თხოვნაზე უსიტყვოდ დაგვთანხმდნენ.

ძალიან დიდია ჩართულობა მედიცინის მხრივ. კერძო კლინიკის ხელმძღვანელები გვირეკავენ, გვთავაზობენ საკუთარ მომსახურებას. იცით, რომ უშვილობის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და ასე შემდეგ. მრავალმხრივი იქნება ჩვენი პროექტები. არ იქნება მხოლოდ შობადობის გაზრდა, იქნება ახალგაზრდული მიმართულებით. თქვენ ნახავთ, რომ ყველაზე მეტი პროექტი ამ მიმართულებით გვექნება, რადგან ძალიან დაბალია ახალგაზრდებში დემოგრაფიული ცოდნა და ამაზე ვიმუშავებთ, მყარი ოჯახის პროპაგანდას გავწევთ და პროპაგანდას გავუწევთ იმას, რომ სახელმწიფოს საფუძველი სწორედ მყარი ოჯახია. კონცერტის შემდეგ გვექნება პროგრამული ჯგუფის წარდგენაც, რომელშიაც ჩართულია 5 მინისტრი, რამდენიმე დეპუტატი. სამინისტროები თითქმის სრულად არიან ჩართულნი ამ პროექტში. მგონი, როდესაც საზოგადოების ასეთი ჩართულობაა, შეუძლებელია, ნებისმიერი პროგრამა ჩავარდეს. ეს არის ეროვნული პროექტი, რომელიც მთელი ქვეყნის პროექტად იქცა.

– ხომ არ აპირებთ, საკანონმდებლო ორგანოს შესთავაზოთ „ქართლის დედის“ სტატუსის დამკვიდრება მრავალშვილიანი ქალბატონების დაფასების მიზნით?

– სტატუსზე, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, მაგრამ მრავალშვილიანის სტატუსი უნდა განსაზღვროს სახელმწიფომ, ჩვენ შეიძლება წოდება მივანიჭოთ და ერთჯერადი დახმარება გავუწიოთ. სტატუსი 2008 წლამდე არსებობდა მხოლოდ მე-7 შვილის შემდეგ და იყო მიზერული და დამამცირებელი ფულადი დახმარება. ფონდის დამფუძნებლები არიან კანონმდებლები, მათ შორის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი არის ფონდის საპატიო თავმჯდომარე და მთლიანად ამ პროგრამის თავმჯდომარე. მიმდინარეობს მუშაობა ამ ინიციატივაზე და როგორი იქნება იგი, ამას ბატონი ხუნდაძე თავად წარმოგიდგენთ.

– მარტოხელა დედებზე თუ იზრუნებს ფონდი?

–ეს სტატუსიც უნდა შემოიღოს სახელმწიფომ. ჩვენ შევხვდით მარტოხელა დედებსაც, ბევრი ვისაუბრეთ, მხოლოდ მარტოხელა დედა არა, მამამ რა დააშავა? მარტოხელა მშობელი სჯობს, ასე ვთქვათ. ასე რომ, ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. ვმუშაობთ როგორც საკანონმდებლო ინიციატივაზე, ასევე ფონდის მიერ მოწოდებული ინიციატივის განხორციელებაზე.

– უახლოეს მომავალში რომელ საკანონმდებლო ინიციატივაზე იმსჯელებს ფონდი?

– იცით, რომ დაიწყო მუშაობა აბორტის საწინააღმდეგო საკანონმდებლო ცვლილებებზე. ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს ამ საკითხზე. ამაში ჩვენც ვართ ჩართულნი. ეს იქნება უახლოესი. აბორტი რომ უმძიმესი ცოდვა და დანაშაულია, ამაზე არავინ ვდავობთ, მაგრამ აკრძალვა რამდენად ეფექტური იქნება? ჩვენ დავდეთ ინიციატივა პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლემდე, რომ შერჩევითი, სელექციური აბორტი აკრძალულიყო. სტატისტიკური მონაცემებით, 30 პროცენტი აბორტებისა კეთდება სწორედ ამ შემთხვევაში. თუ როგორ მოხდება აკრძალვა, ამაზე ჯგუფი მუშაობს და დარგის სპეციალისტები თავად წარმოადგენენ. ბუნებრივია, დამოკიდებულება ასეთია, რომ ერთის აკრძალვამ არ უნდა გამოიწვიოს მეორე დანაშაული. გვაქვს მონაცემები, რომ ქვემო ქართლში, ან მაღალმთიან აჭარაში, სადაც რელიგიით კატეგორიულად აკრძალულია აბორტი, სწორედ იქ არის მაღალი აბორტების რაოდენობა, ოღონდ იატაკქვეშეთში, რაც იწვევს დედათა და შვილთა დაავადებას და სიკვდილიანობის მაღალი დონეს, – გვითხრა ჩიბურდანიძემ.

სექტემბერში ფონდი კიდევ უფრო მასშტაბურ აქციას გეგმავს, სადაც ცხინვალის და აფხაზეთის რეგიონები ჩაერთვებიან.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში
— სხვადასხვა — საქველმოქმედო —
ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ვაკის აუზთან ევროსტანდარტით აშენებულ ახალ სახლში, 78 კვ. 3/18, ყველანაირი ტექნიკით, საკუჭნაო-გარდერობით, 24-საათიანი დაცვით, ეზოს ვიდეო-კონტროლით. ფასი 1100 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქვილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებთ მის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული ესენციებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულისხმიერების სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებსახრეებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქვილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნია შვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

დინამო შირაქს ამხანაგურად ეთამაშა

დინამო – შირაქი 1:1

თბილისი. დინამო არენა

0:1 ბეკო (8), 1:1 პაპავა (64)

დინამო: ზარქუა, სეთურიძე (ხურცილავა 46), კვარაცხელია (შაშიაშვილი 46), უსტარიცი (გველესიანი 65), პროკურორი, ხმალაძე (პაპავა 46), გრაიციარი, შინდაგორიძე (ლექვთაძე 33), მერებაშვილი (ელგუჯა გრიგალაშვილი 46), ჩისკო (ხოჭოლავა 68), დვალი (მიქაბერიძე 46)

შირაქი: არუთინიანი, ოვანესიანი, კიერი (მარიკიანი 70), კადიო, დავოიანი, დიოპი, დავთიანი (ანოსიანი 63), მურადიანი, ოგუტუ, ბეკო (ბარიკიანი 53)

თბილისის „დინამომ“ სეზონი ამხანაგური მატჩით გახსნა და სომხეთის ჩემპიონს, გიუმრის „შირაქს“ უმასპინძლა. გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და რამდენიმე ახალწვეულსაც სინჯავდნენ. „შირაქის“ ამბები სომხებმა იდარდონ, „დინამოში“ კი რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომელთაც ალბათ მალევე მოუწევს გუნდის დატოვება.

გუნდებმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. პირველში უფრო აქტიურები სომხები იყვნენ, მეორეში კი – „დინამო“.

პირველი სახიფათო მომენტი, რომელიც სტუმრებმა შექმნეს, გატანილი გოლით დასრულდა, თუმცა ისმაელ ბეკოს თამაშგარე მდგომარეობა დაუფიქსირეს. ბეკომ არ მოისვენა და მე-7 წუთზე ანგარიში გახსნა. საჯარიმოში შესულმა ჯერ უსტარიცი გააბითურა, შემდეგ კი ზარქუას ფეხებს შორის გაუძვრინა ბურთი – 0:1.

თბილისელებს მალევე შეეძლოთ წონასწორობის აღდგენა, მაგრამ მე-10 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ ჯაბა დვალმა ვერ გადაგზავნა ბურთი კარის ჩარჩოში ზუსტად. 15 წუთში ესპანელ ჩისკოს მიეცა გატანის შანსი, თუმცა მისი დარტყმულიც არაზუსტი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ზუსტად 3 წუთში „დინამო“ მეორე გატანილ გოლს გადაურჩა. დამე დიოპი ახლო მანძილიდან ცდილობდა ზარქუას კარის აღება, თუმცა შირაქელს სუსტი დარტყმა გამოუვიდა და გოლკიპერმა ხელებში აიღო ბურთი.

33-ე წუთზე ინერტულად მოთამაშე ლაშა შინდაგორიძის ნაცვლად მოედანზე ირაკლი ლექვთაძე გამოჩნდა და მან კიდევ უფრო გააქტიურა დინამოელთა შეტევის ხაზი. იმის ფონზე, რომ მერებაშვილი ჩვეულ სტილში ვერ აქტიურობდა, ახლად შემოსულმა რამდენიმე სახიფათო მომენტში მიიღო მონაწილეობა.

ტაიმის მიწურულს დინამოელებმა მცირე შტურმისმაგვარი მოაწყვეს მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან. 37-ე წუთზე გიორგი მერებაშვილმა რამდენიმე ცრუ მოძრაობით სომეხი მცველები ჩამოიტოვა, თუმცა კარისკენ დარტყმული ბურთი დაიბლოკა და კუთხურზე გადავიდა. 41-ზე ლევან ხმალაძემ გაისროლა, მაგრამ ხარიხას არცთუ მცირე მანძილით გადააცილა.

მეორე ტაიმმა „დინამოს“ სრული უპირატესობით ჩაიარა. შესვენებაზე დუშან უჰრინმა რამდენიმე ცვლილება გააკეთა და ერთ-ერთმა მათგანმა, გიორგი პაპავამ, როგორც იტყვიან, ყველაზე მეტად ანერვიულა „შირაქი“. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს კარისკენ დარტყმა და ისიც არაზუსტად. სამაგიეროდ, თბილისელები ერთიმეორის მიყოლებით ქმნიდნენ მომენტებს და სომხეთის ჩემპიონებიც ძირითადად საკუთარი კარის დაცვით იყვნენ დაკავებულნი.

48-ე და 49-ე წუთებზე პაპავამ ორჯერ სახიფათოდ გაისროლა შორიდან – ერთხელ მეკარეს მოუხდა თამაშში ჩართვა, მეორედ კი მცირე მანძილით ასცდა კარს.

55-ზე კვლავ პაპავა მოექცა მოვლენათა ეპიცენტრში – ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმა, გაშეშებული მეკარე, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა კარს.

გოლი მაინც გიორგი პაპავამ ჩაიწერა აქტივში – ელგუჯა გრიგალაშვილმა საჯარიმოში იბრძოლა, პასი პაპავას მისცა და მანაც ხარიხიდან ასხლეტით გაიტანა.

შემდეგ პიტერ გრაიციარმა და ჩისკომ მოსინჯეს ბედი, თუმცა სახიფათო მომენტი მხოლოდ სახიფათოდ დარჩა. 77-ე წუთზე გრაიციარის ჩაწოდების შემდეგ, შაშიაშვილმა გადაგზავნა ბურთი თავური დარტყმით კარში – კვლავაც არაზუსტად.

მატჩის მიწურულს „დინამომ“ კვლავ შტურმი მიიტანა მეტოქეზე, თუმცა აქედან ხეირი ვერ მიიღო. სომხებს ეტყობოდათ, რომ საყაიმო შედეგი აკმაყოფილებდათ და უნიათოდ დასდევდნენ ბურთს.

ნიგერიამ იოლად მოიგო

ტაიტი – ნიგერია 1:6

ბელუ ორიზონტე. გოვერნადორ მაგალაეში. 20.187

0:1 ელდერსონი (5), 0:2, 0:3 ოდუამადი (10, 26), 1:3 ტეო (54), 1:4 ტეო (69სკ), 1:5 ოდუამადი (76), 1:6 ელდერსონი (80)

ტაიტი: სამინი, ლუდივიონი, ვალარი (ფაატიარო 54), ჟ. ტეო, სიმონი (ლემერი 78), ბურებარე, კარუანი, აიტამე, ვაირუა (ატანი 69), ა. ტეო, შონგუე

ნიგერია: ენიეამა, ამბროზე, ობოაბონა, ომერუო (ეგვუეკე 74), ელდერსონი, ოგუდე, მიკელი, მბა (ოგუ 57), ოდუამადი, უჯა (იდეიე 52), მუსა

ტაიტელთა გულშემატკივრებს გულდასაწყვეტი არაფერი ექნებათ. ჯერ კიდევ საუკუმეიკერო ფსონებით იყო იოლი მისახვედრი, რომ ნიგერიელები დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. ასეც მოხდა – აფრიკელებმა გაილაღეს და მეტოქე გოლების წვიმა მოუწყვეს. ნიგერიელები ხანდახან თავს მოდუნების უფლებასაც აძლევდნენ, მაგრამ უეცრად აფეთქდებოდნენ და სანახაობრივადაც ბურთაობდნენ.

მე-5 წუთზე კურიოზული გოლი გავიდა: ელდერსონთან ბურთი მსაჯისგან ასხლეტით მივიდა, მისი დარტყმული კი მცველს მოხვდა და კარში შევარდა. გავიდა კიდევ 5 წუთი და ოდუამანდიმ მეტოქის საჯარიმოში მცველებს თავგზა აუბნია და მისი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა. 26-ე წუთზე ოდუამანდიმ ტაიტელთა მეკარეს შეცდომა არ აპატია და დუბლი გაიფორმა.

მე-2 ტაიმი ტაიტელთა გოლით დაიწყო – კუთხურის შემდეგ თავი ჟონათან ტეომ გამოიჩინა. მანვე მალე მეორედაც გაიტანა – ამჯერად საკუთარ კარში და კონფედერაციის თასის ისტორიაში პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ერთ მატჩში მეტოქესაც გაუტანა და საკუთარ მეკარესაც.

დარჩენილ დროში ნიგერიამ კიდევ 2-ჯერ გაიტანა. 76-ე წუთზე, იდეიეს გადაცემა ოდუამადიმ გამოიყენა, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა. ნერტილი იმავე ფეხბურთელმა დასვა, რომელმაც ანგარიში გახსნა – ელდერსონმა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ნუამდი ოდუამადი

„მილანის“ კუთვნილებაში მყოფმა ფეხბურთელი ჰეთ ტრიკი შეასრულა. მართალია, არცთუ ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ მისი გარჯა მაინც დასაფასებელია.

ლევან ყიფიანი: „დაფინანსებაზე მყოფ კლუბებს უნდა დავეხმაროთ და კერძო კლუბებს ხელი შევუწყოთ“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრი ლევან ყიფიანი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა, 7 თვის მანძილზე სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ლევან ყიფიანი:

– გვინდა, რომ ჩვენი სამინისტროს მუშაობა შეაფასოს საზოგადოებამ და მზად ვართ, ყველა იმ კითხვას გავცეთ პასუხი, რომელიც საინტერესოა. ჩვენი მოსვლის შემდეგ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაგაცნობთ იმ პრიორიტეტებს, რომლებიც გამოვყავით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 7 თვის შედეგები:

1. განხორციელდა სპორტული ფედერაციებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკა;

2. გაუქმებული „სპორტის აკადემიის“ ბაზაზე დაფუძნდა „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი“;

3. საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში 500 სპორტსმენისთვის ამოქმედდა 5 უფასო სპორტული სექცია (ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა);

4. საქართველოს მასშტაბით, მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით შესწავლილ იქნა 243 სპორტული ობიექტი;

5. სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 57 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 40 ადგილობრივი და 83 საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი (12 ევროპის ჩემპიონატი, 2 მსოფლიოს ჩემპიონატი), სადაც ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 216 მედალი, აქედან 72 ოქრო, 58 ვერცხლი და 86 ბრინჯაო;

6. ახალგაზრდული პროექტების განხორციელების შედეგად სამინისტროს საქმიანობის პირდაპირი ბენეფიციარი გახდა 25.400 ახალგაზრდა;

7. შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით;

8. მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები) დაიგეგმა და ხორციელდება გრძელვადიანი პროგრამები.

ჟურნალისტები „პატრიოტთა ბანკთან“ დაკავშირებით ბოლო პერიოდში გაკეთებულ განცხადებებზე მინისტრის პოზიციით დაინტერესდნენ.

– რბილად რომ ვთქვათ, „პატრიოტთა ბანაკი“ ყბადაღებულ თემად იქცა. ჩვენ ვახორციელებთ ამ პროექტს,

ოღონდ სხვა სახელწოდებით. ადრე თუ იყო მხოლოდ სტუდენტებისთვის, ჩვენ განვსაზღვრეთ ასაკი 14-18 წლამდე სკოლის მოსწავლეებისთვისაც. განათლების სამინისტროს ვთხოვეთ, რომ სკოლებში 2.000-მდე ბავშვი შეირჩეს მათი წარმატების მიხედვით. ახალგაზრდები 7 დღის ნაცვლად 10 დღის განმავლობაში იქნებიან ბანაკში. ასევე ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შევადგინეთ სპეციალური მენიუ. როგორც იცით, აქამდე ხშირი იყო საკვებისგან მათი ინტოქსიკაციის პრობლემები. „პატრიოტთა ბანაკს“ ამიერიდან ერქმევა „მომავლის ბანაკი“. ბიუჯეტში, რომელიც დაგვხვდა, მცირე კორექტივები შევიტანეთ. სტუდენტებთან უშუალოდ მუშაობენ ჩვენი დეპარტამენტის თანამშრომლები, გვაქვს ფონდი, რომლებიც სტუდენტებს ემსახურება და მათ გრანტირებას ახდენს. ჩვენ პრიორიტეტების მიხედვით გავაკეთეთ მოსწავლეებზე აქცენტი. ასევე საუბარია ანაკლიასთან დაკავშირებით, შემიძლია, პირდაპირ განვაცხადო, რომ რაც ითქვა, დაიბეჭდა და გავრცელდა, სიცრუეა. ჩვენ ვიყავით ანაკლიაში, იქ კატასტროფული სიტუაცია დაგვხვდა. ამ ეტაპზე დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს. ყველა ნივთი დასაწყობებულია, – განაცხადა ანაკლიის საკითხთან დაკავშირებით ლევან ყიფიანმა.

ტელეკომპანია „მირის“ ჟურნალისტი საქართველოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის საკითხით დაინტერესდა, რაზეც მინისტრმა განაცხადა:

– სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ჩვენმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა მიიღოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, რაც სეოკ-მა ბოლო ყრილობაზე დაადასტურა. მოგეხსენებათ, რომ სპორტულმა საზოგადოებამ დიდი ხნის წინ თქვა უარი ასეთ ბოიკოტებზე, ბოლოს მსგავსი რამ 80-იან წლებში განხორციელდა, სპორტსმენების მონაწილეობა და სპორტის განცალკევება პოლიტიკისგან ჩვენი მცდელობაა. მეზობლებთან ურთიერთობის დარეგულირება სწორედ სპორტით და კულტურით უნდა განვახორციელოთ. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობას.

ბიზნესსექტორის სპორტული კლუბებით დაინტერესების თემაზე ლევან ყიფიანმა აღნიშნა, რომ სპორტში უნდა ჩაიდოს კერძო ინვესტიცია და კარგი იქნება, თუ კლუბები კერძო მფლობელობაში გადავლენ.

– ძალიან რთული ვითარება დაგვხვდა. ჩვენ ჯერ ეს სიტუაცია უნდა გამოვასწოროთ. დაფინანსებაზე მყოფ კლუბებს უნდა დავეხმაროთ და კერძო კლუბებს ხელი შევუწყოთ. კერძო ბიზნესს კი უნდა შევუქმნათ ბაზარი იმისთვის, რომ სპორტით დაინტერესდნენ. იმ ქვეყნებში, სადაც პრობლემები მოგვარებულია და კერძო სექტორი განვითარებული, მაინც არსებობენ მუნიციპალური კლუბები. ჩვენს ქვეყანაში, ყოველი სეზონის წინ არის გუნდების დაშლის პრობლემა, ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ ეს პროცესი დასრულდეს. რა თქმა უნდა, შეღავათები უნდა არსებობდეს კერძო ბიზნესისთვის, რომელიც ნელ-ნელა უნდა განხორციელდეს, რომ სხვა დარგებს არ ავნოს. ამ თემაზე გვქონდა საუბარი ფინანსთა სამინისტროსთან. სანამ ჩვენ მოვიდოდით სპორტის სამინისტროში, ეს ჩვენი მთავარი პრიორიტეტი იყო და ასეც რჩება – კლუბები რომ გადავიდნენ კერძო ბიზნესის ხელში, უნდა იყოს შეღავათები ელექტროენერგიაზე, წყალზე, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. რთულია, ეს 1 წელიწადში განხორციელდეს. დაინტერესება და ნება არის.

გორის „დილასთვის“ გამოყოფილი თანხის შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა გუნდებმა პროტესტი გამოთქვეს. კლუბების ხელმძღვანელების თქმით, სახელმწიფოს მხრიდან ყველა გუნდს თანაბრად უნდა გაეწიოს დახმარება.

– არასწორი თემაა, რომ ერთ გუნდს მიეცა დახმარება სახელმწიფოს მხრიდან, ყველა მუნიციპალური კლუბი მუნიციპალიტეტებისგან ფინანსდება. „დილას“ დაფინანსებაც მუნიციპალიტეტმა აიღო თავის თავზე. რა თქმა უნდა, ჩვენ თანასწორობა უნდა დავიცვათ და ყველას დახმარება უნდა მოხდეს. თუმცა ჯერ კიდევ გამოსასწორებელია ბევრი რამ, ის მავნე მემკვიდრეობა, რომელიც გვერგო – გაბერილი ბიუჯეტის დაგეგმვა, პროექტების არასწორად განხორციელება. ჩვენ ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც წარედგინება საფეხბურთო საზოგადოებასა და მთავრობას. ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, თუ რა თანხა იხარჯება ფეხბურთში, რომ შემდეგ მოხდეს სწორად დაგეგმვა და განაწილება. ჩვენ ავიღეთ ამ საკითხზე პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სფფ-მაც, რომ ერთობლივად გამოვიდეთ არსებული ვითარებიდან, – განაცხადა მინისტრმა.

სეუმ ევროპა დაიპყრო

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 7-კაცა რაგბიში ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატის გამარჯვებული სეუ-ს უნივერსიტეტის გუნდი სტუმრობდა. მორაგბეებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა ლექსო გუგავამ უმასპინძლეს.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მორაგბეთა 7-კაცა გუნდი ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. ზაზა ლეჟავამ მწვრთნელობით მოთამაშე სეუ-ს სტუდენტურმა სარაგბო გუნდმა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ტურნირზე დაუმარცხებლად ითამაშა, 10 შეხვედრა მოიგო და გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა.

სეუმ ტურნირის პირველ დღეს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გუნდი 34:7 დაამარცხა, ასევე პორტუგალიის კოიმბრას უნივერსიტეტის გუნდს 17:5 სძლია, მესამე მატჩში ქართველმა მორაგბეებმა მოსკოვის საავიაციო უნივერსიტეტის გუნდთან დაძაბულ ბრძოლაში 19:15 იმარჯვეს, დღის დასკვნით შეხვედრაში კი მასპინძელი ბულგარეთის, კერძოდ სპორტის აკადემიის გუნდს – 29:5 აჯობეს.

მეორე დღის პირველ მატჩში სეუმ ბულგარეთის კიდევ ერთი გუნდი, შუმენის უნივერსიტეტი გაანადგურა 40:0, მომდევნო შეხვედრაში საფრანგეთის ქალაქ პო-ს გუნდს 12:0 აჯობა, ჯგუფური ეტაპის დასკვნით თამაშში კი უნგრეთის გუნდი – 47:0 დაამარცხა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს პლეი-ოფები გაიმართა. მეოთხედფინალში ქართველმა სტუდენტებმა როტერდანიუს გუნდი უშანსოდ დატოვეს – 40:0. ნახევარფინალში სეუმ მოსკოვის უნივერსიტეტის ნაკრები 33:0 დაამარცხა და ფინალში გავიდა. ფინალური მატჩი ერთმანეთს სეუ და საფრანგეთის ქალაქ პოს სტუდენტური ნაკრები დაუპირისპირდნენ.

დაძაბულ შეხვედრაში ქართველმა მორაგბეებმა თითქმის წაგებული თამაში მოატრიალეს – 28:17 გაიმარჯვეს და ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საუნივერსიტეტო გუნდმა წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატში.

სეუს შემადგენლობა ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატზე: ბაჩანა კოლელიშვილი, დიმიტრი კალანდაძე, საბა ნიკოლავა, გოდერძი ჯოგლიძე, ჯიმი ღამბაშიძე, ბახვა კობახიძე, ლუკა კვარაცხელია, ალექსანდრე ხუციშვილი, გიორგი ბებიაშვილი, საბა შუბითიძე, ივანე დავითაშვილი, გიორგი ჭყოიძე (კაპიტანი).

ვიქტორ სანიკიძეს იტალიის ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვება აშორებს

ვიქტორ სანიკიძე იტალიის ჩემპიონობას მიუახლოვდა. 1 მოგებაც და ქართველი ფორვარდი „სიენას“ შემადგენლობაში ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის გამარჯვებული გახდება. სიენელებმა ფინალური სერიის მე-4 მატჩი 81:71 მოუგეს „რომას“ და საერთო ანგარიშით 3:1 დაწინაურდნენ.

ქართველმა ფორვარდმა გამარჯვებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი დაიდო. სანიკიძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილ და მხოლოდ 13 წუთი გაატარა, თუმცა ნაყოფიერად გაისარჯა. ვიქტორმა 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 6 ქულა მოაგროვა და ამას 5 მოხსნა და 1 პასი მოაყოლა. ფინალურ სერიაში ეს გახლდათ სანიკიძის ყველაზე შედეგიანი თამაში.

სტაბილურად ითამაშეს „სიენას“ ლიდერებმა – დანიელ ჰაკეტიმ 16 ქულა მოაგროვა, დევიდ მოსმა – 15, ბობი ბრაუნმა კი 14 ქულას 5 შედეგიანი პასიც მოაყოლა. მატჩი ბოლო მეოთხედამდე ქულა-ქულაში მიდიოდა. რომაელებმა იცოდნენ, რომ ამ მატჩის წაგება საჩემპიონო შანსის დაკარგვას ნიშნავდა, თუმცა ტიტულის მოქმედმა მფლობელმა „სიენამ“ ცივსისხლიანად ჩაატარა გადამწყვეტი მეოთხედი, რომელიც 21:12 მოიგო და საბოლოოდ გამარჯვებასაც დაეპატრონა.

„სიენამ“ რომ ჩემპიონობა დაკარგოს, ზედიზედ 3 მატჩი უნდა წააგოს, რაც რეალობისგან შორს დგას. მომდევნო მატჩი რომში გაიმართება და, თუკი მასპინძლები იმარჯვებენ, მე-5 შეხვედრას ისევ სიენა უმასპინძლებს.

ფეხბურთი

ჯონფედერაციის თასი

ტაიტი-ნიგერია 1:6

შვედეთი. აღსვენსჯა

კალმარი-ნორჩიოპინგი 2:2

გიოტებორგი-დიურგარდენი 0:0

ახგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ქილმესი-გოდოი 0:0

ჰოკეი

ნჰლ. ფინალი

ბოსტონი-ჩიკაგო 2:0

სერიის ანგარიში: 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გიგა ლორთქიფანიძე ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით დაკრძალეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფილმის ავტორია. გიგა ლორთქიფანიძემ თეატრში ნოდარ დუმბაძის ყველა ნაწარმოები დადგა. რაც შეეხება ფილმებს, მისი ნამუშევრები მრავალსერიანებია, მათ შორის აღსანიშნავია „დათა თუთაშხია“ და „წიგნი ფიცისა“. გიგა ლორთქიფანიძეს დიდი სურვილი ჰქონდა გადაეღო მრავალსერიანი ფილმი, რომელიც მთლიანად ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებას მიეძღვნებოდა, მაგრამ ეს სურვილი რეჟისორს სურვილად დარჩა.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში გიგა ლორთქიფანიძე არაერთი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი იყო – თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო, რუსთაველის, მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. იგი წლების განმავლობაში იყო თეატრალური უნივერსიტეტის რექტორი და თეატრალური კავშირის თავმჯდომარე. როდესაც ამ კავშირს სათავეში გოგი ქავთარაძე ჩაუდგა, გიგა ლორთქიფანიძე ამ კავშირის საპატიო თავმჯდომარედ იქნა არჩეული. წლების განმავლობაში იგი არაერთი ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, მის სახელს უკავშირდება რუსთავის თეატრის დაარსებაც, სადაც მის მიერ დადგმული სპექტაკლები ანშლაგებით მიმდინარეობდა.

გიგა ლორქიფანიძე მარჯანიშვილის თეატრიდან ტაშის თანხლებით გააცილეს და იმ ადგილასაც დაასვენეს, სადაც 21 ივნისს მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნება.

გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალებას გამოეხმაურა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელმაც ასეთი განცხადება გაავრცელა:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თეატრისა და კინოს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს“.

გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვეს საზოგადოებისთვის ცნობილმა პირებმაც:

ილია მეორე, საქართველოს პატრიარქი:

– მარადიულობის გზას შეუდგა ქართული კულტურის დიდი მოამაგე, გამორჩეული რეჟისორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბატონი გიგა-გიორგი ლორთქიფანიძე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამიტომაც მისი გარდაცვალება ჩვენი საზოგადოებისათვის დიდ გულისტკივილთანაა დაკავშირებული. აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს ბატონი გიგა-გიორგის უკვდავი სული.

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

– ჩვენ დავკარგეთ თეატრისა და კინოს საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი და მწუხარებას გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ ყველას. ვუსამძიმრებ განსაკუთრებით მის ოჯახს და მათ, ვისაც განსაკუთრებით უყვარს მისი შემოქმედება. მე ვწუხვარ, რომ პირადად ვერ გავიცანი გიგა ლორთქიფანიძე, ორივე მხრიდან იყო სურვილი და რატომღაც ეს ვერ მოხერხდა. ჩვენ ყოველთვის გვერდში დავუდგებით გიგა ლორთქიფანიძის ოჯახს. მან თავისი შემოქმედებით უდიდესი კვალი დატოვა ქართულ თეატრსა და კინოში, მთლიანად ქართულ კულტურაში. მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები და ფილმები ქართველი ხალხისთვის გამორჩეულად ძვირფასია. როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტმა, გიგა ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც – იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მკაფიო სამოქალაქო პოზიციით. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ქართული კულტურის მოღვაწეებსა და მაყურებელს დიდი რეჟისორის გარდაცვალებას.

ირაკლი ალასანია, თავდაცვის მინისტრი:

– ბატონი გიგა იყო ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მის ფილმებზე თაობებია გაზრდილი და მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება. მგონია, რომ ის ყველა თაობისთვის საყვარელი რეჟისორი იყო. სამწუხაროა, რომ ამდენი კარგი ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, რაც გულისტკივილს იწვევს ჩვენში.

მამუკა ძაცარავა, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსი:

– ბატონი გიგას ცხედარი დილით გადმოვასვენეთ მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მან სიცოცხლის უმეტესი წლები გაატარა. რა თქმა უნდა, იგი დაიკრძალა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით. გამოსვენება კი მარჯანიშვილის თეატრიდან მოხდა. ძალიან სამწუხაროა, რომ ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები მიდიან და მათ რიგებს ერთიმეორეზე საუკეთესო ხელოვანები აკლდებიან. ჩვენ 21 ივნისს გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავს მარჯანიშვილის თეატრის წინ გავხსნით. ეს ადამიანი ამას ნამდვილად იმსახურებდა. ამაზე ყველა შეთანხმებული ვიყავით, თუმცა, სამწუხაროდ, მისმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ მოგვცა საშუალება, თავად ბატონი გიგა დასწრებოდა ამ ვარსკვლავის გახსნას. ამიტომ, მისი გარდაცვალებიდან სწორედ მე-9 დღეს, გაიხსნება ვარსკვლავი.

მანანა ბერიკაშვილი, კულტურის მინისტრის მოადგილე:

– 21 ივნისს, მარჯანიშვილის თეატრის წინ, ცნობილი ქართველი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავი გაიხსნება. სამწუხაროა, რომ ამ ვარსკვლავის გახსნას თავად გიგა ლორთქიფანიძე ვერ მოესწრო. ვარსკვლავი გაიხსნება და ძალიან სამწუხაროა, რომ ეს მის გარეშე მოხდება. თავად გიგა ლორთქიფანიძე იყო უაღრესად კარგი პიროვნება და მისი გარდაცვალებით ძალიან სამწუხარო რამ მოხდა.

მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი:

– გიგა ლორთქიფანიძე დააკლდა არა მხოლოდ თეატრსა და კინოს, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებას. სამწუხაროდ, კიდევ ერთი დიდი რეჟისორი წავიდა ჩვენგან. მე ბავშვობიდან მახსოვს მისი მხრიდან მტკიცე, ღირსეული პრინციპული პოზიციების დაფიქსირება სხვადასხვა საკითხის მიმართ. ძალიან სამწუხარო დღე არის საქართველოსთვის.

გოგი ქავთარაძე, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე:

– ქართულმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა ქართული თეატრის რაინდი, ქართული თეატრის და კინოს ქომაგი, ქართული თეატრის ამაგდარი, ქართული თეატრის მოღვაწე და ქართული თეატრის მოქალაქე გიგა ლორთქიფანიძე. ეს ის ადამიანია, ვინც მთელი თავისი ცხოვრება დაუღალავ შრომაში გაატარა და ქართულ კინოს და თეატრს მიუძღვნა.

ლალი ბადურაშვილი, მსახიობი:

– გიგა ლორთქიფანიძე არის საქართველოს, ქართული თეატრისა და კინოს კუთვნილება და ასეთი პიროვნებები აღარ მეორდებიან. მისი ფილმები ყველასგან გამორჩეულია და მისი ხელწერა მართლაც რომ გამორჩეულია. სამწუხაროა, რომ ბუმბერაზი ადამიანები აკლდებიან ჩვენს თეატრსა და კინოს, ნათელში იყოს მისი სული.

ნუკრი ქანთარია, რეჟისორი:

– ბატონი გიგა ლორთქიფანიძე იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იშრომო და როგორ უნდა გიყვარდეს ქართული კულტურა. რთული ცხოვრების მიუხედავად, მან შეძლო და ღირსეულად იცხოვრა. სამწუხაროა, რომ ქართული კულტურის ღირსეული წარმომადგენლები მიდიან ამ ქვეყნიდან და თითოეული ადამიანის გულში უზომო ტკივილს ტოვებენ.

გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:

– მთელი თავისი ცხოვრება ქართულ თეატრს და ქართულ კინოს მიუძღვნა. თავისი არსებობით მან ჩვენს კულტურას განუზომელი ფასი დასდო. ჩვენ, ვინც მასთან ერთად მოვედით ქართულ კულტურაში, თან გადაგვყვა. მტერი რომ ყოფილიყო სულ, თუკი საჭირო იყო, ყველაფერს დაივიწყებდა და სულით და გულით იმუშავებდა მასთან. თუკი რამ ეწყინებოდა, პირში გეტყოდა და არ დაგიმალავდა. ძალიან კარგი ადამიანი იყო ბატონი გიგა, არ იცოდა გულში ჩადება ბოღმის და წყენის, როცა საქმესა და ქვეყანას სჭირდებოდა, უკან არაფერზე იხევდა. სულ ამბობდა, ცას არავინ გამოვეკერებით, რომ წახვალ, ადამიანებს, ხალხს, შენს ქვეყანას გული უნდა დასწყდეთო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ძალიან მტკივა გული, რომ ასეთი კარგი ადამიანები ამ ქვეყნიდან მიდიან.

გოგი დოლიძე, კინომცოდნე:

– ალბათ ბევრი ილაპარაკებს მის ფილმებსა და სპექტაკლებზე, მაგრამ მე მინდა ვისაუბრო მასზე, როგორც პიროვნებაზე. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა და ის საოცარი ადამიანი იყო. ვოლგოგრადის თეატრი გვსტუმრობდა და როცა პირველ სპექტაკლზე ფარდა გაიხსნა, მაშინ დამეკალა, რომ მეთქვა, სპექტაკლი გიგა ლორთქიფანიძის ხსოვნას ეძღვნება-მეთქი. ბატონი გიგა უდიდესი მოღვაწე იყო და სრულიად კომპეტენტურად გეტყვით, რომ არავის და არსად ასე ნაყოფიერად თეატრშიც და კინოშიც არ უმუშავია. მარტო ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოს ვგულისხმობ. ვიღაცამ დაწერა, 100 სპექტაკლი დადგა და 4 ფილმიო და ის 4 ფილმი იყო შვიდსერიანი დათა თუთაშხია და ყველა მრავალსერიანი ფილმი აქვს, ამიტომ ამ სტატისტიკას ნუ დავეყრდნობით. გიგამ ყველაზე ხანგრძლივად და ნაყოფიერად იმუშავა. გული მწყდება, რომ მას სურდა 12 სერიანი ფილმის გადაღება ყაზბეგის მიხედვით, რომლის შემოქმედებაც ქართული სულის გასაღებია. ეს ფილმი რომ ჩაშვებულიყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, მთელი სტუდია ამუშავდებოდა. სამწუხაროდ, ამის განხორციელება მან ვერ შეძლო.

ბატონ გიგაზე ბევრი იტყვის, რომ ის შესანიშნავი რეჟისორია კინოს, თეატრის, მაგრამ ჩვენ ხომ უახლოესი თანამშრომლები ვიაყავით წლების განმავლობაში, თეატრალურში ის რექტორი იყო, მე ვიყავი პრორექტორი. ჩვენ ძალიან ბევრი ჩხუბიც გვქონია, ორივე დაუცხრომლები და დაუნდობლები ვიყავით, მე ვიცავდი კინოს პრინციპებს, ის თეატრის პრინციპებს, რამდენჯერ შევასკდით ერთმანეთს, სასამართლოც კი დაინიშნა, მაგრამ სასამართლოს მერე რესტორანში წავედით. სულ შემართული იყო და არც მე ვუთმობდი. სულ ვიწვევდით ერთმანეთის პატივისცემას. გარდა ამისა, უნდა გესურვა ადამიანს, რომ გიგასთანა დამცველი მეგობარი გყოლოდა. ერთხელ კონტროლის პალატაში იყო საქმე და გიგამ ჩემი პოზიცია დაიცვა, ეს არასოდეს დამავიწყდება. სულ მართალი და სულ გულწრფელი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლო ხანებში ძალიან სუსტად იყო. ცნობილი მხატვარი ბატონი ფარნაოზ ლაპიაშვილი ჩია ტანის კაცი იყო, ერთხელ რაღაც ჩხუბში ის წამოუხტა გიგას და კი არ გაუბრაზდა, გაუხარდა, შენ გენაცვალე, რა ვაჟკაცი ყოფილხარო. ეს არის ღირსება და ადამიანობა, როცა რაინდი ხარ და როცა გჯერა შენი ძალის, შენი ინტელექტის, შენი ნიჭის. გაუხარდა და მოეფერა. არაჩვეულებრივი ადამიანი ხომ იყო და მღეროდა საოცრად, გავრცელდა კიდეც ჩანაწერი, სადაც ის მღერის სიმღერას თავისი კინოფილმიდან. ისეთი ზუსტი პაუზები და სუნთქვა აქვს, ბევრ პროფესიონალს შეშურდება. ხომ ხედავთ, გამიტკბა გიგაზე საუბარი, არაჩვეულებრივი ადამიანი იყო და უდიდესი პიროვნება.

კახი კავსაძე, მსახიობი:

– წავიდა ამ ქვეყნიდან კიდევ ერთი ნიჭიერი ადამიანი. გიგა ლორთქიფანიძის სახით საქართველომ ძალიან დიდი რეჟისორი დაკარგა, რომელიც ნამდვილად გამოირჩეოდა თავისი ნიჭით, გამოირჩეოდა თავისი კაცობით და საკითხავი ისღა დარჩა, თუ არის ვინმე მისი შემცვლელი. ალბათ არა, რადგან თითოეული პიროვნება ინდივიდია და მისი ამქვეყნად შემცვლელი არავინაა.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლევან ანჯაფარიძემ შიმშილობა დაიწყო

– მე უნდობლობას ვუცხადებ ეროვნულ კინოცენტრს და იქ ჩატარებულ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსს. აქედან გამომდინარე ვაცხადებ შიმშილობას კულტურის სამინისტროსთან. ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში განაცხადი შევიტანე, რომელიც აფხაზეთის თემას ეხებოდა. თუმცა ფილმი არ დამიფინანსესე. იქ არიან არაპროფესიონალები, რომლებიც ასე წყვეტენ შემოქმედი კაცის ბედს. გადაიხედოს კინოცენტრის კონკურსის შეფასების კრიტერიუმები, საჯარო გახდეს მეორე ტურში გადასული ყველა ლიტერატურული სცენარი. ჟიურის წევრები იმ სამიდან კი, ვისაც კინოექსპერტი ჰქვიათ, არიან ლანა ღოღობერიძე, არჩილ შუბაშვილი და კოტე ჯანდიერი, – განაცხადა რეჟისორმა.

რეჟისორი აპროტესტებს ცოტა ხნის წინ კინოცენტრში ჩატარებული კონკურსის შედეგებს. კონკურსი დაახლოებით ერთი თვის წინ ჩატარდა, სადაც წარდგენილი იყო სხვადასხვა რეჟისორის, მათ შორის რეზო ესაძის, სოსო ჯაჭვლიანის, ლევან ანჯაფარიძის და სხვა რეჟისორების სცენარები. გამარჯვებულ ორ სცენარს სახელმწიფო აფინანსებდა 750 ათასი ლარით.

როგორც პრესკონფერენციაზე რეჟისორმა განმარტა, ის კულტურის სამინისტროს წინ ქუჩაში აპირებს აქციის გამართვას და იქამდე იქნება, სანამ მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

– იმ რეჟისორებს, რომლებიც გასული 9 წლის განმავლობაში იბრძოდნენ, კვლავ არ ეძლევათ მუშაობის საშუალება. არ ვენდობი ნანა ჯანელიძეს, ეროვნული კინოცენტრის ახლად დანიშნულ დირექტორს. რეჟისორი ნანა ჯანელიძე კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტების ინსპექტირებას მოელოდა, – განმარტავს რეჟისორი.

მისივე თქმით, რეჟისორს სხვა მოთხოვნებიც აქვს:

– სხვა მოთხოვნებიც მაქვს, მოვითხოვ ქართული კინოცენტრის არაპროფესიონალებისგან გაწმენდას და ეროვნული კინოს პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთას. როცა ქვეყანას აქვს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემები, არ შეიძლება, რომ ამ თემას ეროვნულმა კინომ გვერდი აუაროს. ფილმი მეც აფხაზეთის თემაზე მქონდა. ნანა ჯანელიძემ გააგრძელა წინამორბედის პოლიტიკა. უნდა გამოეძიებინა მანამდე გადაღებული ფილმების წარმომავლობა. საით წავიდა თანხები. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ფილმის დაფინანსებაზე უარი მეთქვა. ამ ათის წლის განმავლობაში ფილმის დაფინანსებაზე 4 ჯერ მეთქვა უარი. კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი შეხვედრას დამპირდა, რომელიც 20 ივნისს უნდა შედგეს. მანანა ბერიკაშვილს და გურამ ოდიშარიას დიდი იმედის თვალით ვუყურებ, – განაცხადა რეჟისორმა.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტავენ, რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ სამინისტროში ნამდვილად შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეროვნული კინოცენტრის საკონკურსო კომისია არაკომპეტენტური წევრებისგან შედგება.

– ეს არის არაეროვნული კინოცენტრი, იქ ჩატარებული კონკურსები ჩემთვის მიუღებელია. იქ ბევრი რაღაცები ხდება, ამიტომაც ვაცხადებ შიმშილობას კულტურის სამინისტროსთან, ეს არის ჩემი სტრატეგიული ობიექტი. ერთ მხარეს ვუყურებ კულტურის სამინისტროს, მეორე მხარეს არის ეროვნული კინოცენტრი. ვიქნები იქ მანამ, სანამ ჩემი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. მიმაჩნია, რომ შესაბამისი უწყებები კინოცენტრის საქმიანობით უნდა დაინტერესდნენ. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ კინოცენტრის ფინანსური საქმიანობა, გაბათილდეს სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის შედეგები, გათავისუფლდნენ კინოცენტრიდან არაპროფესიონალი კადრები და სახელმწიფო პრიორიტეტად მიჩნეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი პრიორიტეტული გახდეს ქართულ კინემატოგრაფიაში. ასევე მოვითხოვ, რომ განისაზღვროს კინემატოგრაფიის როლი სახალხო დიპლომატიაში. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ორ დღეში კულტურის სამინისტროში ჩემი საკითხი კომისიის განხილვის საგანი იქნება, რაც ძალიან კარგია, – აღნიშნა რეჟისორმა.

როგორც ლევან ანჯაფარიძემ განაცხადა, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე იგი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს. მისი სცენარი „ციცინათელები“ აფხაზეთის ომს შეეხებოდა, რაც ეროვნული კინოცენტრის საკონკურსო სექციისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა. თუკი კულტურის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი ლევან ანჯაფარიძის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, არ არის გამორიცხული, რეჟისორმა სასამართლოს მიმართოს და სარჩელი შეიტანოს სასამართლოში კინოცენტრისა და კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ.

როგორც ეროვნულ კინოცენტრში „ახალ თაობას“ განუცხადეს, ინფორმაცია ამ კონკურსის ჟიურის წევრების შესახებ კონფიდენციალურია:

– ეს ინფორმაცია არის კონფიდენციალური და თუ ვინ არიან ამ კონკურსის ჟიურიში, ვერ გეტყვით.

რეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ უკვე გაშალა კარავი კულტურის სამინისტროს წინ და მოვლენების განვითარებას ეროვნული კინოცენტრის სიახლოვეს შიმშილობით დაელოდება.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 2. თაღლითი, რომელიც რაიმეს სპეციალისტად ასაღებს თავს; 3. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი; 4. მკვრივი ქანების სანგრევი ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 5. ციმბირის წყლულის ქართული სახელწოდება; 9. აბანოს თანამშრომელი; 11. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 12. ძველბერძენი მოქანდაკე; 14. ფრანგული, ცხარე გემოს ცხვრის ყველი; 18. მომღერალი პოეტი მუსულმანურ ქვეყნებში; 19. პოეტური ქმნილება.

თარაზულად: 1. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 5. კუთხე საქართველოში; 6. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში; 7. სასიამოვნო სურნელება; 8. საფრანგეთის პრეზიდენტი; 10. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 15. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 16. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 17. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 20. მაღალფეხიანი ბროლის ჭიქა; 21. სვან მამაკაცთა ცეკვა; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 23. იაპონური მოტოციკლეტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პაპაინი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. დვალეთი; 5. ტენდენცია; 9. ფროიდი; 12. გურზუფი; 14. ლეკალო; 15. ერგი; 17. „რეალი“; 18. აბიო.

თარაზულად: 6. ჩანახი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. მეგრე; 11. ჰიდროფობია; 13. ალავერდი; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. სომბრერო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პასტიჩო; 2. „ჰეინიკენი“; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 6. „წიქარა“; 9. სტიგმა; 11. „სუფრული“; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. ფოგტი.

თარაზულად: 4. ბაჩა; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ანკესი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. კორიდა; 16. ნერო; 17. ცანა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კარტელი; 23. ტუბერი.

ბრაზილია საპროტესტო აქციებმა მოიცვა

200 ათასზე მეტი ბრაზილიელი გამოვიდა ქვეყნის სხვადასხვა დიდ ქალაქებში, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გაზრდილი საფასური და ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გასამართად დახარჯული თანხები გაეპროტესტებინა.

„როიტერის“ ინფორმაციით, რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში გამოსულმა 100 ათასმა ბრაზილიელმა მშვიდობიანი მარშით გააპროტესტა ხელისუფლების გადაწყვეტილება, დედაქალაქ ბრაზილიაში კი დემონსტრანტები ქვეყნის პარლამენტის შენობის სახურავზე ავიდნენ. თუმცა, მოგვიანებით, პოლიციასთან მოლაპარაკების შედეგად, ისინი სახურავიდან ჩამოვიდნენ.

„ხალხმა გამოიღვიძა. ჩვენ არ გვჭირდება მსოფლიო ჩემპიონატი, ჩვენ ფული გვჭირდება საავადმყოფოებისთვის და განათლებისთვის“, – სკანდირებდნენ დემონსტრანტები.

ადგილობრივების განცხადებით, ისინი საყვარელი თამაშის წინააღმდეგ კი არა, ხელისუფლების გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიან და მოითხოვენ, რომ სტადიონების მოდერნიზაციასა და განახლებაზე დახარჯული 600 მილიონიდან თანხები სოციალური პროგრამებისთვისაც გამოიყენონ. ისინი ასევე ქვეყანაში არსებულ კორუფციასა და სოციალურ უთანასწორობას აპროტესტებენ.

„ბიბისის“ ინფორმაციით, საპროტესტო აქციები ბრაზილიის 11 ქალაქში გაიმართა. თუმცა, წინა კვირისგან განსხვავებით, პოლიციას ამჯერად დემონსტრანტების მიმართ ძალა არ გამოუყენებია.

ბრაზილიაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მგზავრობის საფასურის მომატების გასაპროტესტებლად მასობრივი აქციები გასულ კვირას დაიწყო. პოლიციამ მომიტინგეები ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დაშალა. დაშავდა ათობით ადამიანი, მათ შორის რამდენიმე ჟურნალისტი.

ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ბრაზილიაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური ერთი ადამიანისთვის 3 რიალიდან (1,06 ევრო) 3,20 რიალამდე (1,12 ევრო) გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ რიო-დე-ჟანეიროს პოლიციამ კვირას დემონსტანცია დაარბია, რომლის მონაწილეებიც 2014 წელს ქვეყანაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას აპროტესტებდნენ.

პოლიციამ დემონსტანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა. დემონსტანტები სკანდირებდნენ: „მე არ მჭირდება მსოფლიო ჩემპიონატი, მე მჭირდება განათლება და ჯანმრთელობა“.

მანიფესტანტები ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის დიდი თანხების დახარჯვის გამო არიან შეშფოთებულები. ჩემპიონატის ორგანიზება დაახლოებით 15 მილიარდი დოლარი ჯდება.

ავღანეთში ნატოს ძალებმა საბრძოლო ოპერაციების მართვის უფლება ავღანურ ხელისუფლებას გადასცეს

ავღანეთში, ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო ოპერაციების მართვის უფლების ავღანური ხელისუფლებისადმი გადაცემის პროცესი დასრულდა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, ამის შესახებ ოფიციალურად ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ სპეციალურ ცერემონიაზე განაცხადა, რომელსაც ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც ესწრებოდა.

„ახლა სათავეში ჩვენი თავდაცვის და უსაფრთხოების ძალები ჩადგებიან. დღეიდან, ჩვენი მამაცი ბიჭები თავის თავზე აიღებენ ქვეყნის უსაფრთხოებაზე სრულ პასუხისმგებლობას“,-აღნიშნა კარზაიმ.

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის კონტროლის გადაბარების პროცესი ჯერ კიდევ 2011 წელს დაიწყო. ნატოს ძალების მიერ ავღანეთის ხელისუფლებისთვის საბრძოლო ოპერაციების კონტროლის გადაბარება დღეს 95 რაიონში მოხდება.

ნატოს ძალები, აშშ-ის მეთაურობით ავღანეთში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ შევიდნენ.

„ბიბისის“ ინფორმაციით, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების რიცხვი 6 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და 40 ათასიდან დღეს მათი რაოდენობა 350 ათასს აღწევს.

ავღანეთში, „აისაფის“ მისიაში ამ ეტაპზე 97 ათასი სამხედროა წარმოდგენილი, აქედან 68 ათასი ამერიკელია, დანარჩენი კი – „აისაფის“ მისიაში მონაწილე 50 ქვეყნის სამხედროა.

ამ დროისთვის ნატო-ს კონტროლის ქვეშ ავღანეთში 13 სასაზღვრო რაიონი რჩება, მათ შორის, ე.წ. „თალიბების“ სამშობლო – ყანდაგარის პროვინცია.

ნატო-ს ჯარები ავღანეთს 2014 წლის ბოლოსთვის დატოვებენ. თუმცა, აშშ-ის პრეზიდენტს ბარაქ ობამას ჯერ არ დაუკონკრეტებია, რა რაოდენობის სამხედროები დარჩებიან ავღანეთის ტერიტორიაზე 2014 წლის შემდეგ.

როგორც ადრე რასმუსენმა განაცხადა, 2014 წლის ბოლოს ნატო ავღანეთში დაიწყებს ახალი მისიის განხორციელებას რომელსაც „გადამწყვეტი მხარდაჭერა“ ეწოდება და რომელიც საბრძოლო მოქმედებების ჩატარების გარეშე ავღანეთის ძალებისათვის უსაფრთხოების საკითხებში დახმარების გაწევას ისახავს მიზნად.

დღესვე ქაბულში ქვეყნის პარლმენტთან ძლიერი აფეთქება მოხდა. პოლიციის განცხადებით, ეს მანამ მოხდა სანამ საერთაშორისო სამხედრო კოალიცია უსაფრთხოებაზე კონტროლს ეროვნულ ძალებს გადააბარებდა.

„როიტერის“ ინფორმაციით, აფეთქებას სამი ადამიანი ემსხვერპლა, 21 ადამიანი-დაშავდა.

ამ ფონზე, ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ განაცხადა, რომ ავღანეთი ყატარში „თალიბანთან“ მოლაპარაკებების გასამართად ჯგუფს გააგზავნის. „ავღანეთის მშვიდობის უმაღლესი საბჭო ყატარში „თალიბანთან“ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იმსჯელებს“,-განაცხადა პრეზიდენტმა.

ამ დრომდე აღნიშნულის შესახებ ავღანეთის „თალიბანს“ კომენტარი არ გაუკეთებია. „როიტერისათვის“ ცნობილი გახდა, რომ ავღანეთის „თალიბანის“ წევრები ყატარში ოფისის გახსნას სამშაბათისთვის გეგმავდნენ.

წინა კვირაშიც, „თალიბანმა“ ორი თავდახმა მოაწყო ავღანეთში, 10 ივნისს თავდასხმა მოხდა ქაბულის აეროპორტზე, მეორე დღეს კი უზენაეს სასამართლოსთან აფეთქებას 17 ადამიანი ემსხვერპლა.

პუტინი და ობამა ისევ ვერ შეთანხმდნენ

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, მექსიკის ქალაქ ლოს-კაბოსის „დიდი ოცეულის“ სამიტზე რუსეთი და ამერიკა ვერცერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვერ შეთანხმდნენ.

„მაგნიტსკის საქმესთან“ დაკავშირებით კრემლის პირველმა პირმა საკმაოდ მკაცრად შეაფასა ამერიკის სენტის გადაწყვეტილება – „როგორც იმოქმედებს ამერიკა, ისე ვიმოქმედებთ ჩვენც“. რუსი დიპლომატების საკმაოდ დიდ ნაწილს ანგარიშები აქვთ გახსნილი ამერიკის ბანკებში, აქვთ შეძენილი უძრავი ქონება, ხოლო მათი შვილები უმაღლეს განათლებას ამერიკის უნივერსიტეტებში იღებენ.

„თუ იქნება რაიმე შეზღუდვები დაწესებული რუსი პოლიტიკოსებისთვის ამერიკაში შესვლასთან დაკავშირებით, ესე იგი, ჩვენი მხრიდანაც იქნება შესაბამისი ზომები მიღებული იმ საკმაოდ დიდი რაოდენობით ამერიკელების მიმართ, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სურთ შემოსვლა“,-განაცხადა პუტინმა.

მართალია, „დიდი ოცეულის“ სამიტი ეკონომიკური ფორმატისაა, თუმცა რუსეთის პრეზიდენტმა ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსებასთან და სირიასთან დაკავშირებით, პოლიტიკური განცხადებებიც გააკეთა.

პუტინის განცხადებით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხის გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული იმასთან, გახდება თუ არა ბარაკ ობამა ხელახლა ამერიკის პრეზიდენტი, აქ მთავარია გათვალისწინებული იყოს რუსეთის, ევროპისა და ამერიკის შეხედულებები თანაბრად. „ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ ეს სისტემა და ერთად უნდა განვიხილოთ ის რისკები, რაც ამ საკითხთანაა დაკავშირებული“,-აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

რაც შეეხება სირიას, აქაც ამერიკისა და რუსეთის პოზიციები ისევ გაყოფილია. ვლადიმერ პუტინი არ აპირებს ამერიკისა და დასავლეთის სურვილის ასრულებას და რაიმე ზემოქმედების მოხდენას ბაშარ ასადზე და აცხადებს, რომ ყველაფერი სირიელი ხალხის გადასაწყვეტია. „დიახ, ჩვენ ვიცით, რომ არის სირიელი ხალხის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ბაშარ ასადის წასვლა უნდა, თუმცა ეს მთელი სირიელი ხალხი არაა“,-განაცხადა პუტინმა.

„რუსეთი არ დაუშვებს სირიის თავზე არასაფრენი ზონის შექმნას“, – ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა.

„არასაფრენი ზონის გამოცხადებასთან დაკავშირებით ჩვენ ძალიან მკვეთრი და პრინციპული პოზიცია გაგვაჩნია, – აღნიშნა ლუკაშევიჩნა, – ესაა პირდაპირი შედეგი საერთაშორისო სამართლის უპატივცემულობისა, – აღნიშნა მან. – ყველა ეს მანევრი არასაფრენი ზონისა და ე.წ. ჰუმანიტარული დერეფნების შესახებ, ჩვენთვის ნაცნობია. როგორ იქმნება ასეთი ზონები და როგორ ხდება ამ გადაწყვეტილების რეალიზება, ჩვენ ნანახი გვაქვს ლიბიის მაგალითზე. ჩვენ არ გვინდა იგივე განმეორდეს სირიაშიც. ჩვენ პრინციპულად არ დავუშვებთ ასეთ სცენარს“.

დიპლომატის სიტყვებით, მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებსაც ახლა იორდანიის ტერიტორიაზე ამერიკელი კოლეგები ეწევიან, ასევე საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. ლუკაშევიჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დასავლეთის მიერ სირიის ოპოზიციის შეიარაღება საშიში ტენდენციაა, რაც შექმნის ძალადობის ესკალაციის პირობას.

„სიტუაციის დარეგულირება არ მოხდება ერთდროულად ორ დაფასთან თამაშით, თუ ერთის მხრივ, აიარაღებ ოპოზიციას, მეორეს მხრივ კი საჯაროდ აცხადებ, რომ ამ პრობლემას სამხედრო გადაწყვეტა არ აქვს“, – აღნიშნა ლუკაშევიჩმა.

თავის მხრივ, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი აცხადებს, რომ სირიის ოპოზიციის შეიარაღება ევროპას ძვირად დაუჯდება. განცხადება ამის შესახებ ბაშარ ასადმა ერთ-ერთი გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

„თუ ევროპელები დაიწყებენ იარაღის მიწოდებას, ტერორისტები ევროპის ზურგში აღმოჩნდებიან და ევროპა ამაში მაღალ ფასს გადაიხდის“, – განაცხადა ასადმა. ამასთან ერთად, ამ ინტერვიუში ასადმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისმა არმიამ ქიმიური იარაღი გამოიყენა, რომლის შედეგადაც 150 ადამიანი დაიღუპა.

„მასობრივი იარაღი ასობით ადამიანს ანადგურებს. სწორედ ამიტომაც იყენებენ მას. სწორედ ამიტომაც ჩვენთვის აბსოლუტურად არალოგიკურია მისი იქ გამოყენება სადავ კონცენციონალური იარაღი გამოიყენება. პარიზში, ლონდონში ან ვაშინგტონში მცირედი დასტური რომ ჰქონდეთ ამ იარაღის გამოყენების შესახებ, ეს უკვე მთელს მსოფლიოს ეცოდინებოდა“, – აცხადებს ასადი.

ამასთან ერთად, ასადმა ასევე უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოლო გამარჯვებებში სირიაში მთავარი ადგილი ლინაბურ „ჰეზბოლას“ ეკუთვნის. მან განაცხადა, რომ სირიის ტერიტორიაზე მხოლოდ „ჰეზბოლას“ რამდენიმე ასეული წევრი იმყოფება. სირიის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ სირიის ფარგლებს გარეთ ამ კონფლიქტის გავრცელებას დომინოს ეფექტი ექნება.

„ვერავინ ვერ წარმოიდგენს, თუ როგორ გამოიყურებოდეს იქნება რეგიონი საზღვრების გადაწევ-გადმოწევის შემდეგ. ეს იქნება ახალი რუკა – რუკა უთვალავი და უსასრულო ომებისა ახლო აღმოსავლეთში და მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყანაში, რომელთა შეჩერებაც შეუძლებელი იქნება“, – განაცხადა სირიის პრეზიდენმა.

შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ თეთრმა სახლმა ოფიციალურად გააკეთა განცხადება სირიის მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ობამას ადმინისტრაციის განცხადებით „წითელი ხაზის“ გადაკვეთას ნიშნავს. ამის შემდეგ ამერიკა და მისი მოკავშირები სირიის ოპოზიციის იარაღით დახმარებაზე ფიქრობენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

თურქეთის ხელისუფლება შეიარაღებული ძალების გამოყენებით იმუქრება

თურქეთის ხელისუფლება დემონსტრანტებს აფრთხილებს, რომ მანიფესტაციების აღსაკვეთად ანკარაში, სტამბულსა და სხვა დიდ ქალაქებში ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად, შეუძლიათ არმია გამოიყენონ. ამის შესახებ ქვეყნის ვიცე-პრემიერმა საზოგადოებრივ ტელევიზიაში გამოსვლისას განაცხადა.

ბიულენტ არინჩის თქმით, პოლიციის ძალები შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს საჭირო ზომების გასატარებლად, ამიტომ ხელისუფლება აპირებს, ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის აღდგენის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოიყენოს. ვიცე-პრემიერმა არ გამორიცხა, საჭიროების შემთხვევაში, არმიის ჩარევის ვარიანტი.

მანამდე, თურქეთში სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციებებში მონაწილეობის გამო ათობით ადამიანი, ჩხრეკის შემდეგ დააკავეს. თურქული მედიის ცნობით, ჩხრეკები სტამბულში, ანკარაში და კიდევ რამდენიმე ქალაქში ჩატარდა. ანკარაში საპროტესტო აქციებში მოანწილეობის გამო 25 ადამინი აიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულებს შორის ის ადამიანები არიან, ვინც აქციების დროს პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდა. თურქმა სამართალდამცავებმა ორი მედიასაშუალების ოფისიც გაჩხრიკეს. პოლიცია მსგავს ღონისძიებებს კვლავ აგრძელებს.

„თურქეთში მიმდინარე ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების დაშლისას პოლიციის მიერ ძალის გამოყენების გასაპროტესტებლად პროფკავშირები გაიფიცნენ“, – ამის შესახებ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. სახელმწიფო მოხელეების პროფკავშირების კონფედერაციამ, პროგრესული პროფკავშირების კონფედერაციამ და სხვა პროფესიულმა გაერთიანებებმა ერთდღიანი გაფიცვით „პოლიციური ძალადობის“ დასრულების მოთხოვნა გააჟღერეს.

სამგლოვიარო განცხადებები

არონ და რამაზ სოხაძეები თავიანთი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ მამა

ოთარ ალექსანდრეს ძე სოხაძე

დაკრძალვა: შაბათს, 22 ივნისს.
მისამართი: ხობის რაიონი, სოფელი ქვაღონი.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

ოთხშაბათი 19 ივნისი

07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ჭორიკანა„ 17.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 17.30 „AQUA – GEORGIA„ 18.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია„ 19.05 ტ/სერ „ნუ შეწყვეტ ოცნებას„ 21.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 22.00 ტ/სერ. „ნიკიტა„ 22.50 ფეხბურთი. აშაფ-ს კონფედერაციის თასი: ბრაზილია — მექსიკა (პ/ტრ ბრაზილიიდან) 01.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ 01.50 ფეხბურთი. აშაფ-ს კონფედერაციის თასი: იტალია — იაპონია (პ/ტრ ბრაზილიიდან) 03.55 „დღეს ორის ნახევარზე„

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 „ბრიფინგის დრო„ 09.00, 19.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 10.30 „არგუმენტების დრო„ (სამშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში„ 2 ნაწ. 16.00 დ/ფ „ადამიანის პლანეტა„ 7 ნაწ. 20.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ზაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „მაგნატები„ 18.50 სერ. „აპრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ფულთან თამაში 23.00 სერ. „ლიკვიდაცია„ 3 სერ. 00.15 მხ/ფ „კეთილი მწყემსი„ (მ.პარკერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მფვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 ნანუკას შოუ. 23.30 სერ. „გრიმი„ 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი
კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 მხ/ფ „ენი მწვანესახურავებიანი მამაულიდან„ 07.00 დოკ/ფ „სიაუშ ქართველი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 12.40 ღია აუდიტორია 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 „შუადღე„ ერთსულოვნებაზე 14.30 საქართველო არის ესე 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.50 დოკ/ფ „გადადექი ფაშა„ 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის გამმარტებანი 19.20 მხ/ფ „საბუდარელი ჭაბუკი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ღირსი მამა დოდო გარეჯელი 23.25 ჟურნალისტის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ბარაბა„ I ნაწ.

მაესტრო 7.00, 1.00, 4.30, 6.30 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.15 მაღვიძარა 9.00 ახალი ამბები 11.00 მაგთიფანი (გამ) 11.30 აბები (გამ.) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.50 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ (გამ.) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 კვირის აბები (გამ.) 17.00 ჩემი ქორწილი (გამ.) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 1.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 21.30, 2.30 მაგთიფანი კონცერტი 23.30, 5.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6556	ევრო — 2,2079
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6008	100 რუსული რუბლი — 5,2262

ამინდის პროგნოზი 19 ივნისისთვის

21 ივნისიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

საოჯახო სამგზარეულოს

10-ტომეული

მ ა ლ ე !

ლეგენდარული „მგლის ბილიკი“

„ახალ თაობასთან“ ერთად

გიგა ლორთქიფანიძე ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით დაკრძალეს

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოსა და თეატრის რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით დაკრძალეს. სამოქალაქო პანაშვიდი მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა, სადაც ხელოვანი უკანასკნელ გზაზე მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა გააცილეს. მარჯანიშვილის თეატრში მივიდნენ პოლიტიკოსები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები – თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი და თბილისის მერი გიგი უგულავა. მარჯანიშვილის თეატრში პრემიერთან ბიძინა ივანიშვილთან ერთად სამოქალაქო პანაშვიდზე მივიდნენ ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური და კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია. სამოქალაქო პანაშვიდი მარჯანიშვილის თეატრის დიდ დარბაზში ჩატარდა. სცენაზე დამონტაჟებული იყო მონიტორი, სადაც გიგა ლორთქიფანიძის ჩანაწერების ჩვენება მიმდინარეობდა.

როგორც მარჯანიშვილის თეატრში ითქვა, 21 ივნისს გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნება. მერიის წარმომადგენლის მამუკა ქაცარავას თქმით, ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი რეჟისორის სიცოცხლეშივე იყო დაგეგმილი, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო, ვარსკვლავის გახსნა ვერ შედგა.

გიგა ლორთქიფანიძე 86 წლის ასაკში 13 ივნისს მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. იგი სუნთქვის უკმარისობით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა.

რეჟისორი 100-ზე მეტი სპექტაკლის და არაერთი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

„ნასამ“ მარსზე გამგზავრებისთვის რვა ადამიანი შეკრიბა

აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ნაციონალურმა სამმართველომ „ნასამ“ შეარჩია კანდიდატები, რომლებიც 2020 წელს მარსზე გაემგზავრებიან. პირველად, ასტრონავტების შემადგენლობის ნახევარი ქალები არიან, – ნათქვამია „ნასას“ საიტზე.

კანდიდატებს მკაცრი შესარჩევი ეტაპის გავლა მოუწიათ – სულ მარსზე გამგზავრების სურვილი 6100-მა ადამიანმა გამოთქვა. მათ ცოდნას და მომზადების დონეს წელიწადნახევრის განმავლობაში სხვადასხვა ტესტებით და ცდებით ამოწმებდნენ, ასევე არაერთხელ სამედიცინო შემოწმება გაიარეს. „ჩვენ ავარჩიეთ რვა ადამიანი, რომლებმაც საუკეთესო აკადემიური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება აჩვენეს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ბედნიერ რჩეულებს შორის არიან – ყოფილი სამხედრო მფრინავი, განათლებით ფიზიკოსი 39 წლის ჯოშ კასადა. 37 წლის აფროამერიკელი ვიქტორ გლოვერი, რომელიც აშშ-ს საზღვაო ძალებში მსახურობს, მაგრამ განათლებით მფრინავ-გამომცდელია. 37 წლის ნიკ ჰეიტი ასევე მფრინავია, ახლა პენტაგონში მსახურობს და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებელყოფის დარგში მოღვაწეობს.

34 წლის კრისტინა ჰამოკი ოკეანოლოგიის სფეროში კვლევებს ხელმძღვანელობს. 35 წლის ნიკოლ მანი საზღვაო ქვეითებში მსახურობს, ხოლო 34 წლის ენნ მაკლეინი სამხედროა და ასევე ამასწინათ, მფრინავ-გამომცდელთა სკოლაში სწავლა დაასრულა. 37 წლის მედიცინის დოქტორს და სამხედრო მოსამსახურეს ენდრიუ მორგანს ასევე საგანგებო სიტუაციებში ექიმად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

„თითოეულ მთგანს მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს ფლობს. ისინი ცოდნას ერთმანეთში გაიზიარებენ და დარწმუნებული ვარ, კვლევაში უზარამაზარ წვლილს შეიტანენ“, – ამბობს ჯონსონის სახელობის კოსმოსური ცენტრის წარმომადგენელი, ჯანეტ კავანდი.

გ. მ.

ყველამ გაითვალისწინეთ!

ასტროპროგნოზი 19 ივნისისთვის

წარმატებული დღეა ვერძი — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **კურო** — სხვებზეც იზრუნეთ, ნუ იქნებით ეგოისტი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ დაიგვიანოთ, ის ყოველთვის არ დაგელოდებათ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, საინტერესო ამბავია მოსალოდნელი. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანცელი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, გელით სიურპრიზი. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, თქვენს თავზეც იფიქრეთ. **თევზები** — სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ გაემგზავრებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ა

შვეულად: 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის მონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. დედამიწის აგებულებისა და შემადგენლობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. სხეული ან მისი ნაწილების ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისთვის; 5. ყურძნის დასაწური, გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. ქართველი რაგბისტი; 14. ბუდისტთა სამლოცველო ჩინეთსა და იაპონიაში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. თავსხმა წვიმა; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

თარაზულად: 6. სოფელი ხევსურეთში; 7. სახელმწიფო ევროპაში; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 11. ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. ძღვენი, საჩუქარი; 19. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 20. მხარე გერმანიაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ლევან ანჯაფარიძემ შიმშილობა დაიწყო

ეკა ირემაშვილი



ქართველმა კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროსთან შიმშილობის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ლევან ანჯაფარიძემ განაცხადა, შიმშილობის დაწყებისკენ მას ეროვნული კინოცენტრის გადაწყვეტილებებმა უბიძგა. მისი თქმით, იგი უნდობლობას უცხადებს ეროვნულ კინოცენტრს და აცხადებს, რომ კონკურსებთან დაკავშირებული პროცესები უსამართლოდ მიმდინარეობს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

„ბორჯღალოსნები“ არგენტინაში ცვლილებებით გაემგზავრნენ

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები არგენტინაში გაემგზავრა, სადაც 22 ივნისს ქალაქ სან ხუანში ადგილობრივ „პუმებს“ დაუპირისპირდება.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მილტონ ჰეიგს „ბორჯღალოსანთა“ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოუხდა.

თბილისის თასის ბოლო რაუნდში თბილისის „ლოკომოტივის“ მორაგბე გივი ბერიშვილმა მუხლის ტრავმა მიიღო და არგენტინულ შეკრებას გამოაკლდა. მის ნაცვლად ნაკრებთან ერთად „არმიას“ მოთამაშე ბექა ბიწაძე გაემგზავრა.

სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებთან მატჩის პირველ ნახევარში კონსტანტინე მიქაუტაძემ მეტოქე სახიფათოდ შებოჭა, რის გამოც იგი სინბინით დასაჯეს და მოედანი ათი წუთით დაატოვებინეს.

მატჩის შემდეგ, კომისრისა და სამართლებრივი საკითხების ოფიცრის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ბოჭვა განზრახ უხეშობად მიიჩნიეს და მიქაუტაძე ორკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

იმ შემადგენლობაში, რომელიც არგენტინელ „პუმებს“ უნდა დაუპირისპირდეს, 16 ფრანგულ კლუბებს წარმოადგენს, ერთი – ინგლისურს, ხოლო 8 მორაგბე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდანაა.

შერკინება: ჯაბა ბრეგვაძე (ტულუზა, საფრანგეთი), რევაზ ბელქანია (ლელო), ვასილ კაკოვინი (ტულუზა, საფრანგეთი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი, საფრანგეთი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (არმია), ვიტო კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე ტარბი, საფრანგეთი);

უკანა ხაზი: გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), ლაშა ხმალაძე (ლელო), მერაბ შარიქაძე (ჰართფური, ინგლისი), დავით კაჭარავა (როდეზი, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), თამაზ მჭელიძე (მონტმარსანი, საფრანგეთი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ლაშა მალაღურაძე (სტად ბანიერი, საფრანგეთი), ალექსანდრე თოდუა (ალბი, საფრანგეთი).

მ. ჟ.